ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 17 ნოემბერი, 2020 №239 (8503) ფასი: 60 თეთრი

## ადვოკატი: „მიშო მელიქიშვილმა ნიკა ნარიმანიძეს მასთან სექსი შესთავაზა“


ადვოკატი დავით ახალაური

ანა უთიაშვილს და ნიკა ნარიმანიძეს პატიმრობა შეეფარდათ

გვ.5

17 ნოემბრიდან

ჩემი პირველი ვეფხისტყაოსანი

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი




# „ივანიშვილის ბრძანება იყო, რომ ბარიერი ვერ უნდა გადამელახა“


გვ.2

## ნინო ბურჯანაძე: „ცესკოს მოქმედებამ მოლაპარაკების მეორე რაუნდი ჩაშალა“



## „ოპოზიციამ იჩქარა ქუჩაში გავარდნა“


გვ.3

თორნიკე შარაშენიძე: „სირცხვილის დერეფნების მოწყობა ამომრჩევლის დაბულინგებაა“

## „ახალი არჩევნები ძალიან ძვირი დაგვიჯდება“

ლევან ალაფიშვილი: „მე რომ მთავრობის მრჩეველი ვიყო, ვეტყოდი, გამოსავალი არის კოალიციურ მთავრობაში“


გვ.3

## ლევან ხაბეიშვილი: „სირცხვილის კორიდორს“ ჩვენი მოქალაქეების წინააღმდეგ არ ვეთანხმები“

„საუბარია მხოლოდ ჩინოვნიკებზე“


გვ.3

## ანზორ აბრალავა: „ოპოზიციის პროვოკაციებზე სააკაშვილიც კი ლაპარაკობს“



გვ.4

## ცესკომ სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა


გვ.4

თენგიზ დიხამინჯია: „ოცნებამ“ ხალხი გადმოიბირა. გარეგნულად შეცვალა ფიგურები და არა – სისტემა. მოეწონათ გაყალბების მანქანა“

ISSN 1987-9385
9 771987 938006

2 არჩევნები საკონსტიტუციო და საარჩევნო სტანდარტების დარღვევით ჩატარდა

5 გლდანში ნიკა მელიას ოფისი დაწვეს „ეს გააკეთეს ძმებმა შუკაკიძეებმა“

5 სად გაქრა ბადრი ესებუა? „40-დან 40-ვე ტყვიას მიზანს ზუსტად ახვედრებდა“

6 მაია სანდუ მოლდოვის პრეზიდენტი გახდა

# ნინო ბურჯანაძე: „ივანიშვილის ბრძანება იყო, რომ ბარიერი ვერ უნდა გადამელახა“

## „ცესკოს მოქმედებამ მოლაპარაკების მეორე რაუნდი ჩაშალა“

იაგო ნაცვლიშვილი

**ოპოზიციის გადაწყვეტილებით, საერთაშორისო ფასილიტატორების მედიაციით წარმოებულ დიალოგის ფორმატში „ერთიანი საქართველოს“ ლიდერი ნინო ბურჯანაძეც ჩაერთვება, რომელიც „ახალ თაობასთან“ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ საუბრობს.**



**ნინო ბურჯანაძე:**

– ჩვენი შემდეგი აქცია იქნება 18 ნოემბერს, დილით. ეს აქცია იქნება მდუმარე აქცია, სადაც იქნება ტრანსპარანტები და მოქალაქეები, რომლებიც ამ აქციით გამოხატავენ პროტესტს საქართველოში გაყალბებულ არჩევნებთან დაკავშირებით. ჩვენი ამოცანაა, რომ მსოფლიოში ერთ-ერთმა წამყვანმა პოლიტიკურმა ფიგურამ ნახოს ეს, რომლის ვიზიტსაც აშუქებს მთელი მსოფლიო და მთელმა მსოფლიომ დაინახოს, რომ საქართველოში არჩევნები გაყალბებულია.

***– ტრანსპარანტები გექნებათ წარწერით: „გაყალბებულია“. ეს ინგლისურ ენაზე იქნება?***

– იქნება ქართულადაც და ინგლისურადაც, მაგრამ ალბათ უფრო ინგლისურად. ვფიქრობ, რომ იმის თქმა ქართველებისთვის, რომ არჩევნები გაყალბებულია, საჭირო არ არის და ეს ჩვენმა მოქალაქეებმა ისედაც კარგად იციან.

***– გაქვთ საერთაშორისო თანამეგობრობის იმედი, რომ უფრო აქტიურად ჩაერთვებიან და რა გამოაჩინა დიალოგის ორმა რაუნდმა? კალაძე ამბობს, რომ უბნების გადათვლა შემოგთავაზათ „ოცნებამ“, რატომ არ მიიღეთ?***

– ჩვენ გვაქვს ჩვენი თავის და ჩვენი მოქალაქეების იმედი და ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი.

გამოქვეყნდა საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის განცხადება, სადაც პირდაპირ წერია, რომ საქართველოში ჩატარებულმა არჩევნებმა ვერ დააკმაყოფილა საკონსტიტუციო და საარჩევნო ცვლილებებით დაწესებული სტანდარტები და საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ მოსახლეობის ნდობა შეამცირა. დიპლომატიურ ენაზე ეს არის პრაქტიკულად განაჩენი და პირდაპირ არის ნათქვამი, რომ არჩევნები არ არის თავისუფალი და დემოკრატიული. საქართველოში მყოფი დიპლომატები – ამერიკის ელჩი და ევროკავშირის ელჩი შეწუხებულები არიან ამ ვითარებით და გამოსავალს ეძებენ. გამოსავალს ვეძებთ ჩვენც და ამიტომ იყო, რომ დიალოგზე უარი არავის არ უთქვამს.

ხელისუფლებამ უნდა შეწყვიტოს ის თავხედური განცხადებები, რასაც ის აკეთებს. ცესკოს მოქმედებებმა ფაქტობრივად ჩაშალა მოლაპარაკებების მეორე რაუნდი. იმიტომ, რომ ერთი მხრივ გადათვლასთან დაკავშირებით იყო მოსული წინადადება და მეორე მხრივ, შეაჯამა ოქმები.

***– საუბრობთ ხოლმე, რომ განსაკუთრებულად გებრძვით ივანიშვილი. რატომ, რის გამო ხდება ეს?***

– სიმართლე გითხრათ, მიზეზი არ ვიცი. ერთი მიზეზი, რაც თვალნათელია არის ის, რომ ბიძინა ივანიშვილისთვის ყოვლად მიუღებელია ნებისმიერი დამოუკიდებელი ადამიანი, მასზე კომპეტენტური ადამიანი, მით უმეტეს ადამიანი, რომელსაც არა მარტო დასავლეთში შეუძლია ლაპარაკი, არამედ რუსეთშიც. მას არ შეუძლია ქვეყნის პრობლემების მოგვარება. მან ძალიან კარგად იცის, რომ ეს მე შემეძლო როგორც დასავლეთში, ასევე რუსეთში. ძალიან კარგად იცის, რომ რუსეთში მე შემიძლია შევხვდე ისეთ ადამიანებს, რომელთა სახელსაც ვერ ახსენებს ის ხმამაღლა. ეს არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი.

***– კონკურენტად აღგიქვამთ?***

– ყოველ შემთხვევაში ფაქტია, რომ ორივე არჩევნებზე – 2016 წელსაც და 2020-შიც პირდაპირი ბრძანება იყო გაცემული, რომ მე პარლამენტში ვერ მოვხვედრილიყავი. თქვენ ხომ გესმით? მე რომ 10 და 20 პროცენტზე ვლაპარაკობდე, ბუნებრივია, არ დამიჯერებთ. მაგრამ ის, რომ ქუთაისში 400 ხმა ავიღე და კასპში ერთ-ერთ რაიონში, სადაც ჩვენი აქტივისტი დედამისთან და მამამისთან ერთად მივიდა და ხმა ჩვენ პარტიას მისცეს, მაგრამ იმ უბანზე 0 ხმა გვაქვს, ამას რა ჰქვია?! ასეთი უბანი უამრავია. ზუსტად ვიცით, რომ პირდაპირი ბრძანება იყო კობახიძის მეშვეობით გაცემული, რომ ყველგან უნდა განულდეს ბურჯანაძე და ბარიერი ვერ უნდა გადალახოს. ისეთი მაქინაციებია ჩატარებული...

ამაზე 2016-ში რომ ვლაპარაკობდი, ბევრმა არც ჟურნალისტმა დამიჯერა და არც მოქალაქეებმა, ამას ვერ მოახერხებდაო. ივარჯიშა 2016 წელს ბურჯანაძის, ალასანიას და ნათელაშვილის პარტიებზე და 2020 წელს მთელ ოპოზიციას იგივე ტრიუკი გაუკეთა. არასოდეს არ ვიტყუები და არ ვამეტებ იმას, რაც არის. თუ ოდესმე დაიჯერებენ, რასაც ვამბობ, ქართულ საზოგადოებას ნაკლები პრობლემები ექნება.

***– საკმაოდ მწვავე გამოსვლა გქონდათ ბოლო აქციაზე. რამდენიმე მედიასაშუალებამ თქვენი ჩაის დალევაც გაანიუსა. დაუკავშირეს 2003 წელს სააკაშვილის მიერ პარლამენტში შევარდნაძის ჩაის დალევას. რა პასუხი გაქვთ ამაზე?***

– სამწუხაროა, რომ ზოგიერთი მედია მეტ გასანიუსებელს ვერ ხედავს. ჯერ ერთი, ეს ჩაი კი არ იყო, არამედ ეს იყო მდუღარე წყალი ყველაფრის გარეშე, ჩაის, შაქრის და ყველანაირი მინარევების გარეშე. უკვე წლებია, პრაქტიკულად ყველა ეთერში დამაქვს. მაქვს ყელის პრობლემა და განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ან ინტერვიუს ვაძლევ, ან როდესაც ხანგრძლივად ვლაპარაკობ ცივ ჰაერზე, მეწყება ხველა. ელემენტარულად ადამიანების პატივისცემაა, რომ როდესაც სიტყვით გამოდიხარ, ხველა არ დაიწყო.

ასე რომ, დამაქვს მდუღარე წყალი, თუ ეს განსაკუთრებული პრობლემაა, შემიძლია ვინმეს ვაჩვენო. უფრო სერიოზულ საკითხებს რომ მიაქცევდნენ ყურადღებას, უკეთესი იქნებოდა. ჩაიც რომ დამელია, რა, რევოლუცია მოხდებოდა?!

***– მწვავე დისკუსია გქონდათ ოპოზიციურ პარტიებს ტელეეთერში. ინარჩუნებთ თუ არა დღეს ერთიანობას?***

– რა თქმა უნდა. კარგად გვესმის ყველას, რომ ივანიშვილმა ისეთი რამე გააკეთა, რომ ამ ქვეყანაში არჩევნები საერთოდ დაკარგავს აზრს. თუ ჩვენ შევეგუეთ იმას, რაც მოხდა, ეს ნიშნავს, რომ საქართველოში არჩევნები არასოდეს აღარ ჩატარდება. ეს ნიშნავს იმას, რომ ოპოზიციის მომხრე ადამიანი არჩევნებზე აღარ მივა. იმიტომ, რომ ის უნდა დააშინონ, შეურაცხყოფა უნდა მიაყენონ, დაუჭიროს ოპოზიციას ხმები და ეს ხმები, სადღაც იყრება. ივანიშვილმა გადაწყვიტა, რომ საქართველო აქციოს საფეოდალოდ.

მე არა მგონია, რომ საქართველოს მოსახლეობის უმეტესობა ამას ოდესმე შეეგუოს. ეს არის აბსოლუტურად გამორიცხული. ეს არის დამანგრეველი ქვეყნისთვის. პრეზიდენტის ინსტიტუტი დაანგრია, სად არის პრეზიდენტი? – ან განცხადებებს აკეთებს, ან სად არის, როდესაც ასეთი კრიტიკული ვითარებაა?! სად არის პრემიერი? – ის პრაქტიკულად არ ჩანს ამ კრიტიკულ ვითარებაში. მოკლედ, ქვეყანა ხელიდან გვეცლება. აქ არ არის საუბარი იმაზე, რომ ვინ მეტად დაჩაგრა და ვინ ნაკლებად, თუმცა ნამდვილად მგონია, რომ ნინო ბურჯანაძეს და მის პარტიას ნამდვილად არ უნდა ებრძოდნენ და უნდა უნდოდეთ, რომ პარლამენტში რაღაც რაოდენობით მოხვდნენ.

***– კი, ნინო ბურჯანაძე ნამდვილად უნდა იყოს პარლამენტში და ეს „ოცნების“ მომხრეებისგანაც კი მომისმენია.***

– როდესაც ასეთ პარტიებს ებრძვის ივანიშვილი, ამით უნდა, რომ საერთოდ მოკლას პოლიტიკური კლასი და შექმნას ახალი კლანი თავისი ერთგული ადამიანებისგან. ეს ქვეყნისთვის დამღუპველი იქნება. ამას საქართველოს მოსახლეობა არ შეეგუება, მაგრამ თუ ჩვენ ამ პრობლემას ახლა არ მოვუარეთ, შემდეგ ეს პრობლემა იმდენად მძიმე იქნება, რომ დამანგრეველი შედეგი მოჰყვება.

***– ალბათ იმაზეც ფიქრობთ, რომ თუ ახლა ვერ მიაღწიეთ შედეგს, მაშინ მეტად იქნება ხალხში ნიჰილიზმი.***

– რა თქმა უნდა და მერე აუცილებლად მოხდება აფეთქება და მტრისას, ისეთი აფეთქება მოხდება, რომ წალეკავს ყველაფერს. ამიტომ სჯობს, რომ უმტკივნეულოდ მოხდეს ეს და დაინიშნოს ხელახალი არჩევნები და შეიკრიბოს მრავალპარტიული პარლამენტი.

***– ოპოზიციაზეც მითხარით ორიოდე სიტყვა, რა ხდება შიგნით?***

– ოპოზიციას ესმის, რომ ან ყველა დადგება მყარად ქვეყნის ხვალინდელი დღის დასაცავად, ან ბიძინა ივანიშვილის ხელში იქნება ყველაფერი. ცოტა ხნის წინ ივანიშვილმა თქვა, ჩემ გარდა ფული არავის აქვსო და რომელ პარტიასაც მინდა, იმას დავაფინანსებ და ის პარტია იქნება ძლიერიო. „ქართულ ოცნებას“ ვაფინანსებ და ყველაზე ძლიერი პარტიააო.

ამით მან პრაქტიკულად გვითხრა, რომ ამოვარჩევ, რომელი პარტიაც მინდა ძლიერად იყოსო, მათ ცოტას გადავუგდებ და დანარჩენ პარტიებს მოვახრჩობო. დასამალი არ არის, რომ პარტიამ ადამიანებამდე თავისი ხმა რომ მიიტანოს, ამისთვის გარკვეული ფინანსური სახსრები სჭირდება. ეს ბატონყმური და პატრონყმური დამოკიდებულება მიუღებელია ოპოზიციისთვის, ამიტომ ის ერთიანია, განსხვავებების მიუხედავად.

***– მაშინ რატომ დაუპირისპირდით ერთმანეთს ასე საჯაროდ?***

– ვიკამათეთ. სიმართლე გითხრათ, მერჩია, რომ ეს კამათი არ ყოფილიყო საჯარო. ასეთი კამათი გვაქვს ხოლმე დახურულ სივრცეში, რაც აბსოლუტურად ბუნებრივია.

***– საკმაოდ მწვავე იყო თქვენი განცხადებაც და პირადად მე გამიკვირდა თქვენგან.***

– ცოტა არაკორექტულიც იყო ბარამიძის მიმართ, რაც მე აღვნიშნე კიდეც. გია ბარამიძეს დიდი ხანია ვიცნობ და შინაურულად ვთქვი, რაც არაკორექტულად გამოვიდა, რის გამოც ვწუხვარ. ზოგადად ვთვლი, რომ ის ფორმა, რომლითაც მან ეს საკითხი დააყენა, არასწორი იყო. შინაარსობრივად ამაში გარკვეული ლოგიკა არის, მაგრამ სჯობდა, რომ ეს არა ეთერში, არამედ პირად საუბრებში ყოფილიყო განხილული.

იგივე კვირას ბათუმში მომხდარი ინციდენტიც ამოწურულია. „ლელოს“ ოფისშიც გაკეთდა განცხადება, რომელსაც ყველა პარტია ესწრებოდა. ითქვა, რომ ინციდენტი ამოწურულია და ოპოზიციურ ერთობას არაფერი ემუქრება.

ეს არის ის, რაც შოკში აგდებს ბიძინა ივანიშვილს. ვერაფრით ვერ წარმოიდგინა მან, რომ ვერავის იყიდდა და არავინ გაიყიდებოდა. მოხდა ის, რაც არასოდეს არ მომხდარა ქართულ პოლიტიკურ სპექტრში. იმიტომ, რომ იმდენად დიდია საფრთხე, რომ ქარვასლად გადაიქცეს სახელმწიფო და ქვეყანა კი არა ერთი დიდი ბაზრობა იყოს. იმდენად დიდია საფრთხე, რომ მის წინაშე მთელი ოპოზიცია დადგა ერთად.

***– ოპოზიციის ნაწილი საუბრობს, რომ ივანიშვილის პოლიტიკა მიმართულია იქითკენ, რომ საქართველო რუსეთის გუბერნიად გადაიქცეს. იზიარებთ?***

– არ ვიცი, რუსეთის გუბერნიად თუ არა გუბერნიად. რუსეთს გუბერნიები აქვს, მაგრამ ის, რომ არაფერი კეთდება რუსეთთან ურთიერთობაში საქართველოსთვის სასარგებლო და ის, რა ვითარებაცაა საქართველოში, რუსეთს ეს სტატუს-კვო რომ აწყობს, ეს ფაქტია. დანარჩენი თანდათან გამოჩნდება. ივანიშვილს საქართველოსთვის სასარგებლო არაფერი გაუკეთებია.

***– რუსეთისთვის სასარგებლო?***

– რუსეთს აწყობს სტატუს-კვო, რაც დღეს არის საქართველოში.

## საქალაქო სასამართლომ ოპოზიციის არც ერთი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა

გუშინ, 16 ნოემბერს, საქალაქო სასამართლომ ოპოზიციური პარტიების არც ერთი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

დღის პირველ ნახევარში უარი უთხრა „ევროპულ საქართველოს“, „ერთიან საქართველოსა“ და პარტიას „სამართლიანობისთვის“. სამივე შემთხვევაში, პოლიტიკური სუბიექტები ცენტრალური საარჩევნო კომისიის ბოლო გადაწყვეტილებას ასაჩივრებდნენ და ამბობდნენ, რომ ცესკომ არჩევნები არაკანონიერად შეაჯამა.

გადაწყვეტილებების გამოცხადების შემდეგ, სასამართლოში სხვა ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების საჩივრების განხილვაც დაიწყო.

პირველი „ლეიბორისტული პარტია“ იყო. პარტიის წარმომადგენლები მოსამართლეს ცესკოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობას სთხოვდნენ, რაც, მათი თქმით, პირდაპირ ნიშნავს არჩევნების შედეგების გაბათილებას.

საკუთარი პოზიციების გასამყარებლად ლეიბორისტებმა სასამართლოში ვიდეოკადრები და სხვა მტკიცებულებებიც წარადგინეს, რომლებიც, მათივე თქმით, არჩევნების გაყალბებას ასახავდა, თუმცა პარტიის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

კიდევ ერთი საჩივარი, რომელზეც გუშინ საქალაქო სასამართლოში მსჯელობდნენ, „ნაციონალურ მოძრაობას“ ეკუთვნის.

პარტიის წარმომადგენლების თქმით, საარჩევნო ადმინისტრაციას არ ჰქონდა უფლება, არჩევნები იქამდე შეეჯამებინა, სანამ საქალაქო სასამართლოში საჩივრების განხილვა არ დასრულდებოდა, სწორედ ამიტომ, „ძალა ერთობაშია“ პროპორციული და მაჟორიტარული სისტემით ჩატარებული არჩევნების შემაჯამებელი ოქმების ბათილად ცნობას ითხოვდა.

მმართველი გუნდი არჩევნების გაყალბებასთან დაკავშირებით ოპოზიციის ბრალდებებს კვლავ უარყოფს და ოპონენტების განცხადებებს სპეკულაციურს უწოდებს.

## არჩევნები საკონსტიტუციო და საარჩევნო სტანდარტების დარღვევით ჩატარდა

### აირაის დასკვნა

ამერიკის საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი ბოლო წლების განმავლობაში ყველაზე კრიტიკულ დასკვნას აქვეყნებს და აცხადებს, რომ საქართველოში ჩატარებულმა არჩევნებმა საერთაშორისო სტანდარტები ვერ დააკმაყოფილა და ქვეყანა პოლიტიკურ კრიზისშია.

ხელისუფლების კრიტიკის გარდა, მწვავე შეფასება დაიმსახურა ცესკოს მუშაობამაც. როგორც ორგანიზაციის შუალედურ დასკვნაშია მითითებული, შემაჯამებელ ოქმებში დისბალანსმა და ხმების გადათვლის შეფერხებამ საარჩევნო ადმინისტრაციის გამჭვირვალობა ეჭვქვეშ დააყენა და ამომრჩევლის ნდობა დააკარგვინა.

მესამე სექტორში ამბობენ, რომ ძალადობრივი წინასაარჩევნო გარემო, მოსყიდვები, არჩევნების დღეს დაფიქსირებული დარღვევები კრიტიკას ნამდვილად იმსახურებს.

– უკიდურესად მწვავე ანგარიში, რომელიც საქართველოში ჩატარებულ არჩევნებს ასახავს – ასე ეხმაურებიან აირაის ანგარიშს ოპოზიციაში.

„ოცნება“ კრიტიკას ტრადიციულად პასუხობს და უნდობლობას უცხადებს ყველას, ვისაც არჩევნებთან დაკავშირებით უარყოფითი შეფასება აქვს.

აირაი ხელისუფლებას მოუწოდებს, რომ დროულად გამოიძიოს ძალადობის შემთხვევები, სწრაფად მოხდეს საჩივრების განხილვა და საჭიროების შემთხვევაში ხმები გადაითვალოს.

საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაცია პოლიტიკურ პარტიებს, კრიზისის განმუხტვის მიზნით, კონსტრუქციულ დიალოგს ურჩევს.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟერაშვილი

ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ოპოზიციამ იჩქარა ქუჩაში გავარდნა“

## თორნიკე შარაშენიძე: „სირცხვილის დერეფნების მოწყობა ამომრჩევლის დაბულინგებაა“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.**

***– ბატონო თორნიკე, გვესმის შეფასებები, რომ მეორე ტურის წინ, ოპოზიცია სერიოზულად აიჭრაო. ოპოზიციის ნაწილი არჩევნების დღეს სირცხვილის დერეფნების მოწყობას გეგმავს, ეს რამდენად სწორი გადაწყვეტილებაა? როგორც ცნობილია, ევროპული საქართველო ეთიშება ამ პროცესს. როგორია თქვენი შეფასებები?***

– ოპოზიცია ნამდვილად აჭრილია და ეს მოსალოდნელიც იყო. მათ რიგებში რომ ერთიანობა აღარ იყო, ეს არჩევნების წინ ჩანდა. მერე ამას გაუსვა ხაზი გია ბარამიძის გამოხტომამ ეთერში, რომელზეც კომენტარს საერთოდ არ გავაკეთებ, როცა მან თქვა, რა უფლებით უნდა გაღიზიანდეს ვინმე, როცა სააკაშვილი მიმართავსო.

***– სააკაშვილის ფაქტორმა ცუდად იმუშავა და დაქსაქსა ოპოზიციაო. ასეა?***

– დიახ, ასეა. თვითონ სააკაშვილი კი ცდილობს გამოეცალოს, მაგრამ არ ვიცი, რა ხდება. ბარამიძე და გუბაზ სანიკიძე თავისი ინიციატივით მოქმედებენ ასე თუ რა ხდება, არ ვიცი. როდესაც საუბრობენ სირცხვილის კორიდორის მოწყობაზე, ეს არასერიოზულია. როდესაც ამომრჩეველი მივა არჩევნებზე, რომელსაც მიაჩნია, რომ მეორე ტური უნდა ჩატარდეს, შენ ეს ამომრჩეველი უნდა დააბულინგო?! ეს ხომ შეურაცხყოფაა იმ ამომრჩევლის, რომელიც არ იზიარებს მათ პოზიციებს. მათ რა უნდათ ახლა, რომ თუ რამეა და ხელისუფლებაში მოვიდნენ, მარტო საკუთარი ამომრჩეველი უნდა ჰყავდეთ და დანარჩენი აბულინგონ?! ეს რა წესია?! იმათი ხმები არ სჭირდებათ, იმათი სიმპათიები არ სჭირდებათ? მარტო თავისი ამომრჩევლის იმედად უნდა იყვნენ?!

***– იქნებ არ ვარ „ოცნების“ მხარდამჭერი, ვარ ნეიტრალური ამომრჩეველი და არ უნდა მივიდე არჩევნებზე?***

– ზუსტად ეგ არის საქმე, რომ ნეიტრალურ ამომრჩევლსაც აუცხოებენ ამ დამოკიდებულებით.

***– მათ რეიტინგზე ეს უარყოფითად იმუშავებს?***



– რა თქმა უნდა, უარყოფითად იმუშავებს. ერთია, როდესაც შენ აპროტესტებ უსამართლობას, რომელსაც ჰქონდა ადგილი, მარამ მეორეა, როდესაც ამბობ, ვინც ქუჩაში არ გამოვა, მას უნდა შერცხვეს, ვინც ქუჩაში ვდგავართ, ისინი ვართ მაგრები, ვინც ჯანმრთელები ხართ, ყველა გამოდით ქუჩაშიო, ეს ნეიტრალურ ამომრჩეველზე არ მუშაობს კარგად. მით უმეტეს, გაქანებული კოვიდია და შენ ეუბნები, ჯანმრთელი თუ ხარ, გამოდი გარეთ. რამე რომ დამემართოს? მერე რა, რომ დაგემართოს. ეს არასერიოზული მიდგომაა და მე ეს არ მესმის.

***– რატომ გახდა ასეთი არათანმიმდევრული ოპოზიცია?***

– მე მგონი, რაღაც მეტს ელოდნენ, მართალი გითხრათ, არ ვიცი რას და რატომ ელოდნენ. პირველი დღეებიდან, როცა დაადგნენ ისინი სრული კონფრონტაციის გზას, ჩემთვის გაუგებარი იყო ეს, არ მესმოდა. როცა მიდიხარ ბრძოლაში, ქუჩაში როცა გადიხარ, უნდა გაითვალისწინო რამდენიმე ფაქტორი: პირველი, საერთაშორისო მხარდაჭერა. ფაქტია, რომ უპირობო მხარდაჭერა ოპოზიციას არა აქვს. პირიქით, ეუბნებიან, რომ უფრო კონსტრუქციულები იყავითო. მეორე, ნახეს, რომ რევოლუციას ვერ აწყობენ. ეს ჯერ კიდევ შარშან გამოჩნდა, ივნისში, რომ რევოლუციას ვერ მოაწყობდნენ და მესამე, მოდის ზამთარი და აცივდება. რამდენი ხანი უნდა ატარო ადამიანი გარეთ, სიცივესა და კოვიდში, თუკი რევოლუციას ვერ აწყობ?! ეს ხომ ჩიხია რეალურად? ჩიხისკენ მიდიან. ეს ბოლო მიტინგზე გამოჩნდა, შეიკრიბნენ და დაიშალნენ.

***– ანუ ოპოზიცია ჩიხშია, ვეღარც უკან იხევს და არც მასობრივი აქციების თავი აქვს?***

– ბუნებრივია, მასობრივი აქციები არ გამოვა. კალენდარს და თერმომეტრს შეხედონ. რისი იმედი ჰქონდათ, მე ვერ გავიგე, არ მესმის, მართალი გითხრათ. პომპეოს იმედზე არიან, მაგრამ არც აქედან გამოვა რამე. სიტყვაზე, რომც დაუქნიოს პომპეომ თითი „ოცნებას“, პომპეო ხომ წასულია, მისი ხელისუფლება დამთავრებულია.

***– საუბარია, რომ ისედაც სულ სხვა მიზნით მოდისო...***

– წესით, ჩამოდის ყარაბაღის ომის შედეგებიდან გამომდინარე, ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანს. მე თავიდანვე ვურჩევდი მათ და ასეთია ჩემი აზრი, რომ ბრძოლა უნდა ყოფილიყო პარლამენტშიც და პარლამენტს გარეთაც. იყავი პარლამენტშიც და მიტინგებიც მართე, რამე რომ იყოს, ვინ გიშლის ამას?! კი მესმის, ნაწილობრივ არჩევნები გაყალბდა, მაგრამ როცა შენ გეუბნებიან უცხოელები, რომ კი, იყო დარღვევები, მაგრამ ლეგიტიმურობა ეჭვის ქვეშ არ დგება, ეს ფაქტი ხომ უნდა გაითვალისწინონ?!

***– ოპოზიციის გადაწყვეტილება სირცხვილის კორიდორების მოწყობის თაობაზე, რამდენად დაქსაქსავს ოპოზიციას? ევროპული საქართველო აცხადებს, რომ მასში მონაწილეობას არ მიიღებს.***

– დაქსაქსა უკვე, ხომ ვუყურებთ. ევროპული საქართველო ცდილობს ნეიტრალური ამომრჩევლის მოზიდვას და ნეიტრალურ ამომრჩეველს სირცხვილის კორიდორი არ მოეწონება. რომ ყოფილიყო ბრძოლა ყველა მშვიდობიანი გზით, არა მარტო ქუჩაში, არამედ სხვაგანაც, ეს გაცილებით უკეთესი იქნებოდა და გაცილებით უკეთესად წარმოაჩენდა ოპოზიციას. ახლა, გრიგოლ ვაშაძის ჩაქოლვა იმის გამო, რომ მან თქვა, მოლაპარაკებაც საჭიროა, ეს არასწორი იყო. გამოვიდა ადამიანი და თქვა, რომ მოლაპარაკებაც საჭიროა, ეცნენ და ჩაქოლეს, მერე რა ქნეს? რა და დასხდნენ მოსალაპარაკებლად. გრიგოლ ვაშაძემ ბევრი სისულელე კი თქვა ამ გამოსვლების დროს, მაგრამ ერთი რაღაც თქვა ჭეშმარიტება, 30 წელია დამოუკიდებლები ვართ და რატომ უნდა გჭირდებოდეს სახელმწიფოს, ველურებივით დაგიძახოს შენმა მეგობარმა ევროპიდან, რომ დაჯექი მაგიდასთან და დაილაპარაკეო. ეს ხომ არასერიოზულიზმზე მიუთითებს. საერთოდ რაზე გვაქვს პრეტენზია, როცა ერთმანეთს ვერ ველაპარაკებით? ერთმანეთთან კონტაქტი როგორ ვერ უნდა დაალაგონ?! სირცხვილია, რომელ საუკუნეში ვართ! ამ პროცესებით ორივე მხარე ზარალდება.

***– ამ მოლაპარაკებებიდან რა შედეგს ელით? ოპოზიცია ხელახალ არჩევნებს ითხოვს, ხელისუფლება კი კატეგორიული წინააღმდეგია. მოხერხდება შეთანხმება?***

– რა თქმა უნდა, არ წავა ამაზე ხელისუფლება. ხელახალ არჩევნებს არ ჩაატარებს.

***– მოძებნის „ოცნება“ ხელისუფლებაში ვინმეს, ვინც ამ არჩევნებს გაუპრავებს და შეყვება პარლამენტში?***

– ოპოზიციის ნაწილი ელოდება პომპეოს ვიზიტს. მე არა მგონია, რომ პომპეომ მოითხოვოს ხელახალი არჩევნები ამ სიტუაციაში. ამიტომ, ოპოზიციას ეს თავიდანვე უნდა ეფიქრა, რომ დაეტოვებინა უკან დასახევი გზა. რატომღაც ეს არ გააკეთა. ეს არის ძალიან ცუდი, როცა შენ უკან დასახევ გზას იჭრი. მე მახსენდება კარვების ქალაქი, 2009 წელი იყო, მოითხოვეს ხელისუფლების გადაყენება უპირობოდ და გაშალეს კარვები. არ წავიდა ხელისუფლება და ამ კარვებით ვერაფერს ვერ მიაღწიეს. მერე კი დამარცხდა არჩევნებში ის ხელისუფლება, მაგრამ იმ პერიოდში ვერ მიაღწიეს ვერაფერს. მე ეჭვი არ მეპარება, ეს ხელისუფლებაც წავა და შეიძლება 2024-მდეც ვერ მიაღწიოს, ამის დიდი შანსია, მაგრამ ახლა, ამ პერიოდში ხელისუფლებას აქვს უფრო დიდი უპირატესობა. ოპოზიცია რევოლუციას ვერ აწყობს, კომპრომისზე არ მიდის და არც საერთაშორისო საზოგადოება დგას ოპოზიციის მხარეს. მორჩა, ამით ყველაფერი ნათქვამია.

***– რა იქნება? ოპოზიციამ ყველა გზა მოიჭრა, ვეღარც უკან დაიხევს და პარლამენტს გარეთ დარჩება?***

– მე არ მინდა, რომ ასე მოხდეს, თუმცა იმდენად კატეგორიული იყო ოპოზიცია, რომ რთულია უკან დაიხიო. მაქსიმალისტური მოთხოვნები, არანაირი კომპრომისი და რა მივიღეთ? ხალხი არ შეიკრიბა იმდენი, რამდენიც უნდოდათ. რომც შეკრებილიყვნენ, რამდენი ხანი გააჩერებ ამ ხალხს ქუჩაში? თავიდან მართლა ბევრი მივიდა, მაგრამ მეორედ აღარ მივიდა იმდენი.

***– რა მოლოდინი გაქვთ?***

– „ოცნება“ აუცილებლად წავა 2024-ში და შეიძლება მანამდეც, მაგრამ ამ ეტაპზე, ოპოზიციამ, ამ მეთოდებით საბოლოო ჯამში მეტი შეცდომა დაუშვა, ვიდრე ხელისუფლებამ. ოპოზიციამ აშკარად იჩქარა ქუჩაში გავარდნა. ვერ გათვალა თავისი ძალები და ვერ გათვალა ის, რომ არც ისე მარტივადაა საქმე, როგორ მათ ჰგონიათ და რევოლუციას ასე მარტივად ვერ მოახდენ, მით უმეტეს, როცა რევოლუციის მოხდენა არ უნდა არც მოსახლეობის უდიდეს ნაწილს და ასევე არ უნდათ ჩვენს მეგობარ სახელმწიფოებს. თან ამ პანდემიის ფონზე, გაიხედონ, რა ხდება მთელ მსოფლიოში.

### ლევან ხაბეიშვილი: „სირცხვილის კორიდორს“ ჩვენი მოქალაქეების წინააღმდეგ არ ვეთანხმები“

### „საუბარია მხოლოდ ჩინოვნიკებზე“

– თამარ ჟვანია თუ სადმე საარჩევნო უბანზე მივა, „სირცხვილის კორიდორი“ აუცილებლად დახვდება.

ამის შესახებ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა, ლევან ხაბეიშვილმა, ჟურნალისტებს განუცხადა.

მისივე თქმით, სხვა შემთხვევაში, „სირცხვილის კორიდორს“ მოქალაქეების წინააღმდეგ არ ეთანხმება.

– თუ რამე სადმე კორიდორი იქნება, ეს შეეხება მხოლოდ და მხოლოდ ჩინოვნიკებს, მაგალითად, თამარ ჟვანია თუ სადმე მივა საარჩევნო უბანზე, აუცილებლად იქ დახვდება სირცხვილის კორიდორი. საუბარია მხოლოდ მაღალი თანამდებობის პირებზე, თუ ასეთი რამე დაიგეგმება. სხვა შემთხვევაში, რამე სირცხვილის კორიდორს ჩვენი მოქალაქეების წინააღმდეგ, არ ვეთანხმები, – განაცხადა ხაბეიშვილმა.

ცნობისთვის, ბათუმში 15 ნოემბერს გამართულ აქციაზე „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან ვარშალომიძემ აქციის მონაწილეებს მოუწოდა, 21 ნოემბერს, არჩევნების მეორე ტურის დღეს, უბნებთან „სირცხვილის კორიდორები“ მოაწყონ.

# „ახალი არჩევნები ძალიან ძვირი დაგვიჯდება“

## ლევან ალაფიშვილი: „მე რომ მთავრობის მრჩეველი ვიყო, ვეტყოდი, გამოსავალი არის კოალიციურ მთავრობაში“

ნათია ხურცილავა

**კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო ლევან, გასაგებია, სამართლებრივად არანაირი პრობლემა არ არის ერთპარტიული პარლამენტი. თუმცა, ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებს ეს კარგ წარმოდგენას არ შეუქმნის ხელისუფლებაზე. როგორ ფიქრობთ, რამდენად წავა ამაზე „ქართული ოცნება“?***



– ერთპარტიული პარლამენტი ნიშნავს, რომ ქვეყანაში სერიოზული პოლიტიკური პრობლემები არის. ეს იქნება არა მხოლოდ ქვეყნის გარეთ ნეგატიურად აღქმული, არამედ ამას ძალიან ცუდი შედეგები ექნება ქვეყნის შიგნით. ეს იქნება პირდაპირი ნიშანი საზოგადოების გახლეჩის, საზოგადოების გაყოფის, რაც ყველაზე ცუდი იქნება. დაახლოებით მოქალაქეების ნახევარი, რომელმაც გამოხატა თავისი პოლიტიკური ნება, პოლიტიკურ პროცესს მიღმა იქნება დატოვებული. ამიტომ, ამ შემთხვევაში მხოლოდ სამართლებრივი კუთხით შეფასება და საერთაშორისო პარტნიორებისადმი აქცენტი, არ იქნება საკმარისი.

ამ ოცდაათი წლის მანძილზე, ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, რომ საზოგადოება დაგვეყო. ამან რა შედეგებიც მოგვიტანა, ვნახეთ. როგორც ჩანს, გაკვეთილი ვეღარ ვისწავლეთ და იგივე წრეზე სიარულს ვაგრძელებთ. ეს სრულიად დაუშვებელია. ის მოუშუშებელი ტკივილი, მავნე შედეგები, რომელიც მოგვიტანა გახლეჩამ, დღესაც იჩენს ხოლმე თავი. ამიტომ, ამას როგორმე უნდა დავაღწიოთ თავი. ეს როგორმე უნდა გადავლახოთ.

პოლიტიკოსები ვალდებულები არიან დიალოგი შეძლონ და არ დაუშვან ის, რის სავალალო შედეგებსაც დღესაც ვიმკით. ცალკე აღებული პარტია, როგორი წარმატებულიც არ უნდა იყოს, არაფრის მომცემი არ იქნება ჩვენი სახელმწიფოებრიობისთვის. მით უფრო, ძალიან სერიოზული გამოწვევების ფონზე, რომელიც რეგიონშია. ვერც ერთი ცალკე აღებული პარტია, როგორი ძლიერიც არ უნდა იყოს, ვერ გაუმკლავდება ამხელა პასუხისმგებლობას. ამის გაცნობიერება უნდა მოხდეს. თუ სახელმწიფო აღარ გვექნება, რა მნიშვნელობა აქვს, პარლამენტში რომელი დეპუტატი იჯდება და იტყვის, მე დეპუტატი ვარ.

***– რაში ხედავთ გამოსავალს?***

– მე რომ მთავრობის მრჩეველი ვიყო, ვეტყოდი, გამოსავალი არის კოალიციურ მთავრობაში. კონსენსუსი თუ არ შედგა, არსებული კრიზისი ძალიან გაღრმავდება.

***– თუ მმართველი ძალა პოლიტიკურ კრიზისს ვერ ხედავს?***

– როგორ ვერ ხედავს, უკვე ძალიან კარგად ხედავს. სხვა საკითხია, როგორ ფუთავს ამას. პოლიტიკურს თუ ვერ ხედავს, ჯანდაცვის, სოციალურ, ეკონომიკურ კრიზისს ნამდვილად ხედავს და აღიარებს კიდეც.

***– პასუხისმგებლობის გადანაწილებაზე საუბრობთ, მაგრამ ამისთვის ხომ სხვა პოლიტიკური კულტურაა საჭირო, რომელიც ამ ეტაპზე არ გვაქვს.***

– დიახ, სამწუხაროდ. მთელი ამ ხნის მანძილზე, ვგულისხმობ ჩვენს სახელმწიფოებრიობას, მხოლოდ პოლიტიკურ ინფანტილიზმს ვუყურებთ. არათუ სხვის შეცდომებზე, საკუთარზეც ვერ ვსწავლობთ. ერთი და იგივეს ვიმეორებთ.

***– ვადამდელი არჩევნები თუ ჩატარდება, ამ შემთხვევაში საარჩევნო ბარიერი ისევ 1% იქნება თუ როგორც უკვე კონსტიტუციაშია ჩაწერილი – 5%?***

– კონსტიტუციამ ეს საკითხი გადაწყვიტა: 2024 წლამდე ნებისმიერი რიგგარეშე არჩევნები არსებული საარჩევნო ბარიერით ანუ 1% ბარიერით ტარდება. ეს არ არის პრობლემა, პრობლემა არის ისევ არჩევნების ჩატარება, რომელიც ძალიან ძვირი გვიჯდება. მით უფრო, ჩვენი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით. ქვეყანაში არსებული ეპიდსიტუაციის გათვალისწინებით.

***– თქვენ რას შესთავაზებდით მხარეებს?***

– ყველაზე სწორი და ოპტიმალური გამოსავალი იქნებოდა: პირველი, პარლამენტში შესვლა. მეორე, საგამოძიებო კომისიის შექმნა და მესამე, კოალიციური მთავრობის შექმნა. თუ პერსონალიებზე შეთანხმება ძალიან გართულდება, ამ შემთხვევაში შეიძლება შეთანხმება მოხდეს საზოგადოებისთვის ცნობილ, მისაღებ სახეებზე, რომლებიც დროებით შეასრულებენ ამა თუ იმ მინისტრის მოვალეობას. ამ მიმართულებითაც შეიძლება წასვლა.

***– ერთგვარ გარდამავალ მთავრობაზე საუბრობთ?***

– დიახ, სწორია, ეს იქნებოდა გარდამავალი, დროებითი მთავრობა, შეიძლება ერთი წლით ან ცოტა მეტით, რომელიც მოამზადებდა ქვეყანაში რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებს. ეს იქნებოდა არსებული პოლიტიკური კრიზისიდან გამოსავალი და ეს სამართლებრივადაც აბსოლუტურად გამართულია. ამ ეტაპზე, შექმნილი რეალობიდან სხვა გამოსავალი, უბრალოდ, არ არსებობს.

# ანზორ აბრალავა: „ოპოზიციის პროვოკაციებზე სააკაშვილიც კი ლაპარაკობს“

## „მთიან ყარაბაღში განვითარებული მოვლენები და პომპეოს ჩამოსვლა საქართველოში ერთმანეთს უკავშირდება“

მარიამ მჭედლიშვილი

**საქართველოს მმართველი პარტია და ოპოზიცია ერთმანეთთან საერთო ენას ვერ პოულობენ. პარტიები 31 ოქტომბრის არჩევნების შედეგს არ ცნობენ. ჯერჯერობით ვერ მოხერხდა კომპრომისების მიღწევა აშშ-ისა და ევროკავშირის ეგიდით მოწყობილ დახურულ მოლაპარაკებებზე. ამის პარალელურად დიდი ძვრებია რეგიონში. ამაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, ანალიტიკოს ანზორ აბრალავას.**




***– აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, მაიკ პომპეოს საქართველოში ვიზიტისას ოპოზიცია, რომელიც არ ცნობს საპარლამენტო არჩევნების შედეგს, გეგმავს ცოცხალი მდუმარე ჯაჭვის მოწყობას და ყურადღების მიქცევას. მმართველი პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, ვიცე-სპიკერი გიორგი ვოლსკი აცხადებს, რომ სტუმრის ასე დახვედრა სამარცხვინოა.***

– სტუმრის ასე დახვედრა თავზე ლაფის დასხმაა, თუნდაც, მდუმარე ჯაჭვი იყოს. ის ხალხი, რომელიც დღეს ქუჩაში მიტინგებს მართავს, ცესკოსთან მიდის და ყვირის, დღევანდელი ე. წ. პოლიტიკური ელიტაა. მას აქვს დაპყრობილი სატელევიზიო საეთერო სივრცე. ეს ადამიანები, სინამდვილეში არასახელმწიფოებრივად მოაზროვნე პრიმიტივები არიან. მათ შორის არიან ვაიპოლიტიკოსები, რომლებიც პროპაგანდას უწევენ პროსტიტუციის, ნარკომანიისა და კრიმინალის იდეოლოგიას. ამათი ნავარდი არის საქართველოს ისტორიის სირცხვილი. ამ ხალხითაა შევსებული პოლიტიკური სივრცე. სინამდვილეში, პოლიტიკური სივრცე ცარიელია. ამ უზნეო, უსაქმური პოლიტიკოსების განდევნას პოლიტიკური სივრციდან ახალი იდეები, დიდი ენერგია და ინტელექტი ესაჭიროება.

***– მაღალი სტუმრის საქართველოში ყოფნის დროს აქციები მიზანშეწონილი არ არის? ეს მდუმარე ჯაჭვია.***

– რასაკვირველია, ეს მიზანშეუწონელი, უდროო და უადგილოა. თან როგორი ამბიციები აქვთ! გიგი უგულავას დაჟინებაა, რომ აშშ-ის სახელმწიფო მდივანი უნდა შეხვდეს. რატომ უნდა შეხვდეს? ვინ არის გიგი უგულავა, რომ ასეთი პრეტენზიები აქვს?! ამათ რა უნდა ელაპარაკო, როცა არ ესმით, რა ძვრები მიმდინარეობს.

***– რეგიონში მიმდინარე პროცესებს გულისხმობთ?***

– ცხადია. მოხდა ძალთა გადათამაშება. სამწუხაროდ, თქვენი პოპულარული გაზეთის ფორმატი არ მოგვცემს საშუალებას, ფართოდ გავშალოთ ეს თემა.

***– გეოპოლიტიკურ საკითხს შეძლებისდაგვარად მოგვიანებით შევეხოთ, ახლა კი არჩევნებს მივუბრუნდეთ. 31 ოქტომბრის არჩევნების შედეგს „ქართული ოცნების“ გარდა არავინ აღიარებს. მთელი ოპოზიცია ერთნაირია და არასახელმწიფოებრივად იქცევა?***

– არავისი აპოლოგეტი არა ვარ. ნეიტრალური პოზიციიდან ვამბობ, რომ ყველა, ვინც ამ დღეებში ქუჩაში დგას და მიტინგებს აწყობს, არ ხელმძღვანელობს ქვეყნის ინტერესებით. ტოტალურ გაყალბებაზე რომ ლაპარაკობენ, აბა, ვის უნდა მიეღო პირველი ადგილი?! მათი ეგზიტპოლებითაც ხომ იგივე სურათი დაიდო! დღეს პოლიტიკოსობენ პირები, რომლებსაც აქვთ წვრილმანი მერკანტილური ინტერესები, ბევრ მთაგანს კი – მძიმე წარსული და ცუდი სახელი. რომელ დემოკრატიულ ქვეყანაში ხდება, რომ პოლიტიკაში მოდიოდნენ ბანკირ-ბიზნესმენები, რომლებსაც ინტერესთა კონფლიქტი აქვთ და რომლებმაც გაძარცვეს საკუთარი ხალხი. ამ ოპოზიციის პროვოკაციებზე სააკაშვილიც კი ლაპარაკობს. სააკაშვილი ამბობს, ვისაც ახლა საქართველოში ჩემი ჩამოსვლა უნდა, პროვოკატორიაო. ამ ოპოზიციის მოქმედებები ცირკს დაემსგავსა. ცესკოს შემაჯამებელ სხდომაზე დებოში ატეხეს „ევროპული საქართველოს“, ანუ ყოფილი ნაციონალური მოძრაობის იმ წევრებმა, რომლებიც ჩემპიონები იყვნენ არჩევნების გაყალბებაში. არც მებრძოლებად ვარგიან ახლანდელი ოპოზიციონერები, არც რევოლუციონერებად. რევოლუციონერი რომ უცხოეთიდან იტყვის, ამას დავიჭერ, იმას მოვეფერები, იმას დავტუქსავო, ზედმეტია რამეზე ლაპარაკი.

***– დაჭერით და რეპრესიებით ნამდვილი რევოლუციონერებიც გამოირჩეოდნენ.***

– რასაკვირველია, მაგრამ იმ რევოლუციონერებს ჰქონდათ გამბედაობა და ინტელექტი. ჩე გევარა ექიმი და მოჭადრაკეც იყო, რობესპიერი – განმანათლებელი, კრომველი – ინტელექტუალი. ქართულ პოლიტიკაში მყოფი პირები არიან ხელმოცარული ადამიანები, რომლებიც ხშირად მტრობენ საკუთარ ქვეყანას. შევარდნაძის ბრალია, რომ ეს ხალხი შემორეკა პოლიტიკაში, დანიშნა თანამდებობებზე და მათ დიდი მადა აღუძრა. ისინი ძალაუფლებას არ ეშვებიან.

***– რეგიონში მომხდარი გადათამაშება ახსენით.***

– მოხდა დიდი მოვლენა – აზერბაიჯანმა დაიბრუნა წლების წინ დაკარგული ტერიტორია. მსოფლიო ამას მშვიდად შეხვდა. პირველად ბოლო 100 წლის განმავლობაში, სამხრეთ კავკასიაში გააქტიურდა თურქეთი, რომელიც ნატოს წევრია.

***– თურქეთი აქტიურად უჭერდა მხარს აზერბაიჯანს, მაგრამ ამჟამად მთიან ყარაბაღში განთავსდა რუსეთის სამშვიდობო ძალები.***

– თურქეთის გააქტიურება კონფლიქტის მოგვარებაში, სამშვიდობო მისიაში ჩართვის სურვილი თავისთავად მნიშვნელოვანია. საყურადღებოა პრეცედენტი – მსოფლიომ თითი დაუქნია იმ ქვეყანას, რომელმაც წლების წინ მიიტაცა სხვისი ტერიტორია. აზერბაიჯანმა კი თავისი მიწა დაიბრუნა. პაშინიანი თავის ერს მოუწოდებდა, გაეანალიზებინა საკუთარი ისტორიის შეცდომები. რეგიონში შექმნილი რეალობა უნდა გავიაზროთ და საჩვენოდ გამოვიყენოთ. ამას სხვანაირი, დელიკატური მიდგომა და მუშაობა უნდა, მათ შორის, საერთაშორისო დონეზე.

***– არის მოსაზრება, რომ საქართველოში მომწიფდა ამერიკული სამხედრო ბაზების განთავსების საკითხი.***

– ჩვენ არ ვიცით, რაზე ილაპარაკებს აშშ-ის სახელმწიფო მდივანი საქართველოში დახურულ კარს მიღმა. მთავარია ნება, თორემ პროცესების დაჩქარებას წინ არაფერი უდგას. ნატოში საქართველოს შესვლა გაიწელა. მაპი ტყუილ დაპირებასავითაა. საქართველო მონაწილეობს ავღანეთის, ერაყის მისიებში. ჩვენ ნატოში აქამდეც უნდა მივეღეთ. განიხილავენ თუ არა ამერიკული ბაზების საკითხს, გამოჩნდება. ძვრები სახეზეა. მთიან ყარაბაღში განვითარებული მოვლენები, თურქეთის სურვილი, იყოს აქტიური სამხრეთ კავკასიაში და პომპეოს ჩამოსვლა ერთმანეთს უკავშირდება. ეს ყველაფერი ერთმანეთს შემთხვევით არ დამთხვევია. ქართველი ექსპერტები უცნაურ განცხადებებს აკეთებენ. ზოგს ჰგონია, რომ სამხრეთ კავკასიაში რუსეთი ახლა შემოვიდა. რუსეთს აქამდე ჰქონდა სამხედრო ბაზები სომხეთში, აფხაზეთისა და ცხინვალის ოკუპირებულ ტერიტორიებზე. ამას დაემატა სამშვიდობო ძალები მთიან ყარაბაღში, სადაც რუსეთმა სხვა ფორმატი მოაწყო. მთიან ყარაბაღში რუსეთის მიერ შესრულებული როლი უფრო დადებითად იკვეთება. ზოგ ექსპერტს აკვირვებს, რატომ ჩამოდის ტრამპის ადმინისტრაციის წარმომადგენელი იმ დროს, როცა ტრამპს ვადა ეწურება. მეგობრებო, აშშ-ის უმაღლესი სტრატეგიული ამოცანები არ იცვლება. მნიშვნელობა არა აქვს, საქართველოში რომელი მოღვაწე ჩამოვა. აშშ-ის სტრატეგია ამ რეგიონში უცვლელია.

# ცესკომ სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა

## თენგიზ დიხამინჯია: „ოცნებამ“ ხალხი გადმოიბირა. გარეგნულად შეცვალა ფიგურები და არა – სისტემა. მოეწონათ გაყალბების მანქანა“

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს უზენაესი საბჭოს ყოფილი დეპუტატი თენგიზ დიხამინჯია პასუხობს.**

***– ბატონო თენგიზ, 1990 წლის შემდეგ არჩევნები ამ ქვეყანაში პრობლემად იქცა. ის პირველი არჩევნები უდავოდ ლეგიტიმური იყო და ყველა მხარე ეთანხმებოდა. დღეს კი სხვა ვითარებაა. აქედან გამომდინარე, დღევანდელ ვითარებაზე რას იტყვით?***

– სხვათა შორის, 1990 წლის 14 ნოემბერს შედგა უზენაესი საბჭოს პირველი სხდომა, რომელმაც შემდეგ საფუძველი ჩაუყარა დამოუკიდებლობის აღდგენას. ეს დიდი მონაპოვარი იყო. მაშინ ურთულეს პირობებში გვიხდებოდა პოლიტიკური საქმიანობა.

***– დღეს ქვეყანაში არეული ვითარებაა. ამერიკის ადმინისტრაცია ცდილობს საქართველოში სიტუაცია დაასტაბილუროს.***

– დღევანდელობისაგან განსხვავებით, მაშინ ერი ერთიანი იყო.

***– თუმცა, შემდეგ კომუნისტებმა რევანში განახორციელეს და დღესაც არიან მორევანშისტო ძალები.***

– მორევანშისტო ძალებიც არიან, რევანშისტებიც და უნიათოებიც ასპარეზზე გამოსული. ერმა თავის თავში უნდა მონახოს სასიცოცხლო ძალები – დემოკრატიის პრინციპი, კანონის უზენაესობა და ეროვნული თანხმობა, რომელიც აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად და არსებობისათვის. დღეს ეს ფაქტორები ნიველირებულია, აშკარად საჭიროა ამ იდეებისა და პოლიტიკური შემადგენლობის განახლება, რომელიც ასპარეზზეა გამოსული. ეს ეხება ხელისუფლებსაც და ოპოზიციასაც. ტრაგიკული მდგომარეობაა.

***– სხვათა შორის, წულუკიანმა განაცხადა, ყველამ უნდა ვისწავლოთ თანდათანობით ასპარეზიდან გასვლაო. ჯერჯერობით, ნაცმოძრაობამ ვერ შეძლო ასპარეზიდან გასვლა და კიევიდან სააკაშვილი რევოლუციას უკვეთავს. ხელისუფლებაში დაბრუნება ისე უნდა, რომ ჩადენილ დანაშაულობებზე პასუხი არ აგოს, თანხმობა როგორ იქნება?***

– ეს ტრაფარეტული განცხადებებია. სააკაშვილზე ნუ მალაპარაკებთ.

***– გვინდა თუ არა, მიშაზე საუბარი გვიწევს, რადგან ის მართავს ნაცმოძრაობას და მთელს ოპოზიციას.***

– ქვეყანას უნდა მართავდეს სტრატეგიული იდეები, კრიზისიდან გამოყვანის მკაფიო ფორმულები, შემადგენლობა, რომელმაც მოსახლეობა უნდა დაარწმუნოს რეფორმების აუცილებლობასა და კანონის უზენაესობაში.

დღეს ცესკო აბსოლუტურად ნდობადაკარგულია. პირველი მრავალპარტიული არჩევნების დროს, ყველა თანაბარ პირობებში ვიმყოფებოდით. კომუნისტური ბლოკიც კი, რომელიც უმძიმესი ისტორიის მემკვიდრე იყო, წამოვიდა თანაბარ პირობებზე, დღევანდელისგან განსხვავებით და თავისი მარცხი აღიარა. ეს იყო ერთადერთი შემთხვევა და ერთადერთი ლეგიტიმური არჩევნები.

***– ამერიკის საელჩოში ევროკავშირის ელჩის მონაწილეობით ოპოზიციის და ხელისუფლების შეხვედრებზე, თურმე ხელისუფლება ოპოზიციას საარჩევნო ბიულეტენების გადათვლას და ვიდეოჩანაწერების გახსნას სთავაზობდა. ოპოზიცია კი უარს ამბობს. თუკი გამარჯვებულია, თუ დარწმუნებულია, რომ ნაცმოძრაობას მეტი ხმები ჰქონდა და გაუყალბეს, რატომ უნდა ამბობდეს უარს ბიულეტენების გადათვლაზე?***



– ბიულეტენები უნდა გადაითვალოს იმ პირობებში თუ თანაბარი პირობები იქნება, დამკვირვებლები დაესწრებიან და ოპოზიციას რომელი უბნებიც უნდა, ის გადაითვალოს. კატასტროფაა, როდესაც 48 პარტიიდან 47 პროტესტს აცხადებს. მხოლოდ ნაცმოძრაობაზე არ არის ლაპარაკი. ეს არჩევნები ტოტალურად არის გაყალბებული.

***– გამოსაკვლევია, რა ხალხი ზის საარჩევნო კომისიებში. შთაბეჭდილება მრჩება, რომ ყველაფერი სპეციალურად აურიეს, რადგან ვიღაცის ხმა ალეკო ელისაშვილზე იყო მიწერილი, კიდევ სხვისი ხმა, სხვა პარტიაზეა მიწერილი. „ოცნების“ 200 ხმა, კიდევ სხვაზე იყო მიწერილი. აბრალებენ გადაღლას. თქვენი აზრით, ასეთი რამ რატომ უნდა მომხდარიყო? დივერსია ხომ არ იყო?***

– ეს გადაღლის ბრალი არ არის, სისხლის სამართლის დანაშაულია. შეგნებულად კეთდება თუ ყალთაბანდობით, სხვა საკითხია. მოსახლეობის მხრიდან ნდობის საკითხი ეჭვის ქვეშ არ უნდა დადგეს. დღევანდელმა ცესკომ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ნდობა ნულამდე დასულიყო. სანამ უნდობლობის მომენტი არ გადაილახება, მანამდე ვიქნებით ასეთ გარემოცვაში.

***– უნდობლობის გადალახვის საშუალება რა არის?***

– ცესკოს ფალსიფიცირებული ოქმები გადაეცემა და ცესკოც აჯამებს, რაც აბსოლუტურ უნდობლობას ბადებს. ეს საარჩევნო სისტემა შესაცვლელია.

***– საარჩევნო სისტემის შეცვლას ახლა ხომ ვერ მოვასწრებთ. ამიტომ ბიულეტენები უნდა გადაითვალოს.***

– ახლა აზრი არ აქვს, ნდობა აბსოლუტურად დაკარგული აქვთ. ეს უბედურება დაიწყო შევარდნაძიდან, რომელმაც შექმნა გაყალბების მანქანა, რომლის სათავეში იყვნენ მაჭავარიანი და გოგორიშვილი. შემდეგ ეს ადამიანები შევარდნაძის გუნდიდან სააკაშვილი-ჟვანია-ბურჯანაძის გუნდში გადაბარგდნენ. ამ გუნდში 9 წელიწადი იყვნენ.

დღესაც „ოცნებამ“ ეს ხალხი გადმოიბირა. გარეგნულად შეცვალა ფიგურები და არა – სისტემა. მოეწონათ ეს გაყალბების მანქანა და ზუსტად იმ პრინციპით იმართება. პარადოქსული ის არის, რომ ხათუნა გოგორიშვილი ძალიან აქტიურად ამხელს ჟვანიას. გასარკვევია, ვინ სად იყო, ვინ რას აკეთებდა.

ნაციონალების აზრით, გაყალბება თითქოს ნანა დევდარიანიდან დაწყებულა – მუზეუმი რომ შექმნეს, იქ გამოფინეს. ნანა დევდარიანი არ არის მთავარი პრობლემა, რადგან არჩევნების გაყალბებები გაცილებით ადრე დაიწყო და სისტემური ხასიათი აქვს. ჩვენ ვერასოდეს გამოვალთ არსებული მდგომარეობიდან, თუ ეს საკითხები სამართლიანად არ გადაწყდება.

ჩვენი სახელმწიფოსთვის გაცილებით ტრაგიკული რამ მოხდა – აფხაზეთში ე.წ არჩევნები რომ ჩატარდა, კგბ-ს მსახურმა რაულ ხაჯიმბამ გააყალბა არჩევნები, ისევე, როგორც ჩვენთან, რადგან სისტემა ერთია. ამის გამო აფხაზეთის საზოგადოება გამოვიდა ქუჩაში და ხელახალი არჩევნები მოითხოვა. ცესკომ ანგარიში გაუწია მოსახლეობას და ხელახლა დანიშნა არჩევნები. ანგარიში უნდა გაეწიოს საპროტესტო მუხტს და უნდა დაინიშნოს სულ სხვაგვარი არჩევნები.

***– სისტემისა და ცესკოს ცვლილება უფრო ადრე უნდა მომხდარიყო, რურუას ე.წ. პოლიტპატიმრობას რომ გადააყოლეს ყველაფერი, ებრძოლათ იმისთვის, რომ სისტემა და ცესკო შეცვლილიყო.***

– ორმაგი სტანდარტები არასოდეს არავის წამატებას არ მოუტანს.

***– ახლაც პოლიტპატიმრების გათავისუფლებას ითხოვენ. ვინ ჰყავთ პოლიტპატიმარი?***

– ეგ, რბილად რომ ვთქვათ, საკამათო თემებია. თვითონ აფხაზეთის საზოგადოებამ არ დაუშვა დესტაბილიზაცია და არჩევნების მეორე ტური დაინიშნა, სადაც ბჟანიამ მოიგო. თუ ჩვენ ხელისუფლების ცვლილებას არ შევეჩვიეთ, სამართლიანი არჩევნების ჩატარებას თანაბარ პირობებში, არაფერი გამოვა.

***– გინდათ, „ოცნებამ“ თქვას, რომ გამყალბებელია, ამ სტატუსით გავიდეს არჩევნებზე და ნაციონალები მოიყვანოს ხელისუფლებაში?***

– არავითარ შემთხვევაში, ნაციონალები ხელისუფლებაში ვერ მოვლენ, გამორიცხულია.

***– აბა, ვინ მოვა?***

– კოალიციური ძალა მოვა. ნაციონალები ხელისუფლებაში ისედაც არიან. მე მინდა მესამე ცენტრისტული ძალის დაბადება, კანონის უზენაესობა, სადაც ყველას ექნება ნორმალური სათამაშო წესები. მინდა ორმაგი სტანდარტები გამოირიცხოს. ნაციონალები ვერც ერთ ვარიანტში ხელისუფლებაში ვერ მოვლენ. ბოლო-ბოლო 300 ათასი მარტო პრობაციონერი ჰყავდათ. ელემენტარული მათემატიკის ამბავია.

ხალხს უნდა დავუბრუნოთ არჩევნების ჩატარების ლეგიტიმურობა და კანონის უზენაესობა. წინააღმდეგ შემთხვევაში მე ამ ქვეყნის მომავალს ვერ ვხედავ. ეს არის საგანგაშო. ჩვენ ვართ ვითომ ევროპული ქვეყანა, ვითომ მივისწრაფვით ევროპისკენ, ვამკვიდრებთ ევროპულ იდეალებს და ამ დროს რუსეთის გუბერნია, მისი ყურმოჭრილი მთავრობა და ელიტა, მთლიანად მოსახლეობა, ჩვენზე გაცილებით მეტ გამჭრიახობას და თანხმობის იდეას ახორციელებს.

# ადვოკატი: „მიშო მელიქიშვილმა ნიკა ნარიმანიძეს მასთან სექსი შესთავაზა“

## ანა უთიაშვილს და ნიკა ნარიმანიძეს პატიმრობა შეეფარდათ





თემქაზე მიშო მელიქიშვილის მკვლელობისთვის დაკავებულმა ნიკა ნარიმანიძემ გუშინ, 16 ნოემბერს, საზოგადოებას ბოდიში მოუხადა.

აღნიშნულთან დაკავშირებით ბრალდებულმა საკუთარ სასამართლო პროცესზე ისაუბრა.

– ბოდიში მინდა საზოგადოებას, სრულიად ერს მოვუხადო, ღვთის წინაშე მოვიხადო ბოდიში. მე არ მქონია არავითარი ინიციატივა, რომ განზრახ მკვლელობა ჩამედინა. ჩემი აღელვების ნიადაგზე მოხდა ეს. ჩემთვის მიუღებელი იყო ის შემოთავაზებები და შეურაცხყოფა, რაც მისგან მივიღე. თავიდანვე ვთანამშრომლობდი გამოძიებასთან და რა ფაქტებიც მახსოვს, ყველას მოვუყევი, არც მიცდია დამალვა. იმედია, ფსიქოლოგი დამეხმარება სრული სურათის აღდგენაში, რათა საგამოძიებო ორგანოს სრული სურათი მივაწოდო, – განაცხადა ნარიმანიძემ.

სასამართლომ დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით დაკავებული ანა უთიაშვილის საკითხიც განიხილა.

ადვოკატ ლალი ბიწოშვილის განცხადებით, მკვლელობის დროს ანა უთიაშვილს ეძინა.

ადვოკატის თქმითვე, დაჭრილი ლევან შაბურიშვილი სწორედ ბრალდებულის დამსახურებით გადარჩა. ამასთან, ადვოკატი იმასაც ამბობს, რომ ანა უთიაშვილი თვითონ დაზარალებულია, მისი ფსიქიკა და მომავალი დანგრეულია.

– ანას ეძინა და გამოიქცა, კარის გაღება დაიწყო, რამდენიმე საკეტით იყო დაკეტილი. დღეს რომ შაბურიშვილი ცოცხალია და ჩვენებას იძლევა, ანა უთიაშვილის დამსახურებაა. ანა მარტო არ დარჩენილა და საგამოძიებო ორგანოებთან ვერანაირად მიაღწევდა, – განაცხადა ბიწოშვილმა.

მისივე თქმით, ანა უთიაშვილი საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობს და მომავალშიც ითანამშრომლებს.

– ერთი წამითაც არ ვყოფილვარ მარტო, რომ შემძლებოდა, პოლიციას შევატყობინებდი, – განაცხადა უთიაშვილმა.

საბოლოოდ სასამართლომ ნიკა ნარიმანიძეს და ანა უთიაშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

სასამართლო პროცესზე სახელმწიფო ბრალდება დაკავებულების მიმართ მკაცრი აღკვეთის ღონისძიების, პატიმრობის, გამოყენებას, ნიკა ნარიმანიძის ადვოკატი მისი აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვებას, ანა უთიაშვილის ადვოკატი კი გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლებას ითხოვდა.

***

ანა უთიაშვილს შესაძლოა, ბრალი დაუმძიმდეს. აღნიშნულს არ გამორიცხავს საქმის პროკურორი გიორგი ქობულაძე.

როგორც პროკურორი განმარტავს, გამოძიების ეტაპზე შესწავლილი იქნება შემთხვევის დროს ანა უთიაშვილის მიერ განხორციელებული ქმედებები.

– ამ ეტაპზე, ანა უთიაშვილის ქმედება შეფასებულია, როგორც დანაშაულის შეუტყობინებლობა. ის თვითმხილველი იყო ნიკა ნარიმანიძის მიერ ჩადენილი დანაშაულის, მან სამართალდამცავ ორგანოებს ამის შესახებ არ აცნობა. თუმცა, გამორიცხული არ არის, გამოძიების ეტაპზე დადგინდეს მის მიერ განხორციელებული კონკრეტული ქმედებების შესახებ, რაც შესაძლოა, გამოხატული ყოფილიყო ბრალდებულის მიმართ სხვა სახის დახმარებაში. ეს საკითხებიც იქნება შესწავლილი, – განაცხადა ქობულაძემ.

პროკურორის თქმითვე, ნიკა ნარიმანიძეს გამოძიებასთან არ უთანამშრომლია, ჩვენება არ მიუცია, შესაბამისად, სასამართლოში მის მიერ გაჟღერებული ინფორმაცია და მკვლელობის მოტივი გამოძიების ეტაპზე გადამოწმდება, შეესაბამება თუ არა ის სიმართლეს და რამდენად ჰქონდა აღნიშნულ ფაქტს ადგილი.

– ბრალდებულს საერთოდ არ მიუცია გამოძიებისთვის ინფორმაცია, არ მომხდარა მისი გამოკითხვა, ამაზე უარს თავადვე აცხადებდა. უფრო მეტიც, საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობაზეც უარს აცხადებდა, – განაცხადა ქობულაძემ.

პროკურორის თქმით, ნიკა ნარიმანიძემ ცეცხლი არა მხოლოდ სახლს, არამედ ცხედარსაც წაუკიდა.

როგორც გიორგი ქობულაძე განმარტავს, ბრალდებულმა კვალის დაფარვის მიზნით ტანსაცმელიც გამოიცვალა.

***

კომენტარი გააკეთა ნიკა ნარიმანიძის ადვოკატმა დავით ახალაურმა.

მისი თქმით, ნიკა ნარიმანიძე აცხადებს, რომ მოკლული და დაჭრილი ერთმანეთის მეგობრები იყვნენ, არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ნიშნით და ის მათთან შემთხვევით მოხვდა.

– აწ გარდაცვლილმა მის მიმართ გამოიჩინა სექსუალური ლტოლვა და არატრადიციულ სექსუალურ კონტაქტს სთავაზობდა. ამან ძალიან გააღიზიანა ნიკა ნარიმანიძე, ეს ყველა ნორმალური ადამიანის გაღიზიანებას გამოიწვევდა.

კითხვა, შეეძლო თუ არა ნიკა ნარიმანიძეს, უბრალოდ, ცემით შემოფარგლულიყო, ან სხვაგვარად მოეშორებინა ეს ადამიანი, მეც გამიჩნდა. ნარიმანიძე აცხადებს, რომ ეს დეტალები, რა ვითარებაში ჩაიდინა მკვლელობა, იმდენად აღელვებული იყო, არ ახსოვს, – განაცხადა ახალაურმა.

ის ასევე განმარტავს, თუ როგორ მოხვდა ბრალდებული მეგობარ გოგონასთან ერთად სტუმრად იმ სახლში, სადაც მკვლელობა მოხდა.

– ნიკა ნარიმანიძე იხსენებს, რომ მსხვერპლი თავის დროზე შეეხმიანა მას, უთხრა, რომ მის მოგვარეებს – ნარიმანიძეებს იცნობდა და მასთან მეგობრობის სურვილი გამოთქვა. ის ნარიმანიძესთან ახლო კონტაქტში შესვლას ცდილობდა და შევიდა კიდეც. იმ სახლში დარჩენა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ 10 საათის შემდეგ გადაადგილება იკრძალება, ისინი ლუდს სვამდნენ, მსხვერპლმა დარჩენა შესთავაზა, თუმცა, ნიკა არ აპირებდა.

რაც შეეხება ცეცხლის წაკიდებას, ის ამბობს, რომ ცეცხლი არ წაუკიდებია, ბენზინი არ მიუსხია. ცეცხლის წაკიდებასთან დაკავშირებით ამ საქმეში ერთადერთი მტკიცებულება ბრალდებული გოგონას ჩვენებაა, რომლის მიხედვითაც ცეცხლი ნარიმანიძემ წაუკიდა. თუმცა, იგივე ადამიანი აცხადებს, დანაშაული მეც ჩავიდინე, მეც მოვკიდე ხელიო, იგივე ადამიანი აცხადებს, ტყეში რომ ვიყავით წასული, პოლიციაში არ დავრეკეო. მგონია, რომ ის საბოლოო ჯამში სასამართლოში ამ ჩვენებას უარყოფს, ვინაიდან, საკუთარი თავის წინააღმდეგ აქვს ჩვენება მიცემული და იტყვის, რომ ჩვენება პოლიციელებმა დაუწერეს.

შემთხვევის ადგილი თემქაზე, თბილისის ზღვასთან მდებარეობს, იქ ხელოვნური ტყე-პარკია, ნაძვნარია. ისინი ამ ტყე-პარკში შევიდნენ, ნარიმანიძემ ზედა ტანსაცმელი გამოიცვალა, თუმცა, სისხლიანი ტანსაცმელი მას კვლავ ეცვა, ტაქსიში ჩასხდნენ და დააკავეს, – აღნიშნა ადვოკატმა ახალაურმა.

***

საგამოძიებო უწყების ინფორმაციით, 14 ნოემბერს, თემქაზე, პარტიის „კანონი და სამართალი“ წევრის, ლევან შაბურიშვილის სახლში მის მეგობარს, მიშო მელიქიშვილს მეგობარ გოგონასთან ერთად მყოფმა ნიკა ნარიმანიძემ ყელი გამოჭრა, ლევან შაბურიშვილი კი დაჭრა, რის შემდეგადაც სახლს ცეცხლი წაუკიდა და შემთხვევის ადგილიდან გოგონასთან ერთად მიიმალა. სამართალდამცავებმა ნიკა ნარიმანიძე განზრახ მკვლელობის, ასევე, ორი ან მეტი პირის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის და სხვისი ნივთის დაზიანების ან განადგურების ბრალდებით დააკავეს.

ის წარსულში არაერთგზის ნასამართლევია.

რაც შეეხება გოგონას, ის განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებითაა დაკავებული.

გამოძიება განზრახ მკვლელობის, ასევე, ორი ან მეტი პირის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობის მცდელობის, სხვისი ნივთის დაზიანების ან განადგურებისა და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტებზე, საქართველოს სსკ-ის 108-ე, 19-109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 376-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს.

## გორში 21 წლის გიორგი ნონიაშვილს ეძებენ

რამდენიმე დღეა, გორში 21 წლის ახალგაზრდას ეძებენ. გიორგი ნონიაშვილი სახლიდან 11 ნოემბერს გავიდა და აღარ გამოჩენილა. ოჯახის წევრები ამ დრომდე კომენტარს არ აკეთებენ.

აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. გამოძიება 143-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

## ბათუმის ტერმინალთან საწვავმზიდს ცეცხლი გაუჩნდა

გუშინ, 16 ნოემბერს, ბათუმის ტერმინალთან საწვავმზიდს ცეცხლი გაუჩნდა.

შემთხვევის შედეგად არავინ არ დაშავებულა. ადგილზე სახანძრო-სამაშველო ბრიგადები იყო მობილიზებული. ხანძრის ლიკვიდირება დროულად მოხერხდა.

## შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა უაქციზო თამბაქოს შენახვა-გადაზიდვის ფაქტი გამოავლინეს

შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა უაქციზო თამბაქოს შენახვა-გადაზიდვის ფაქტი გამოავლინეს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს.

უწყების ცნობით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 192-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევ მოქალაქეს საქონელი ჩამოერთვა, საქმის მასალები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეგზავნა.

„ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის სამეგრელოს, გურიისა და ზემო სვანეთის სამმართველოს თანამშრომლების მიერ, გატარებული მიმდინარე კონტროლის პროცედურების შედეგად, 750 კოლოფი (15 000 ღერი) უაქციზო სიგარეტის შენახვა-გადაზიდვის ფაქტი გამოვლინდა, რომელიც შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს“ – ნათქვამია ინფორმაციაში.

## სად გაქრა ბადრი ესებუა?

### „40-დან 40-ვე ტყვიას მიზანს ზუსტად ახვედრებდა“

თითქმის 1 თვე გავიდა „საქართველოს ბანკის“ ზუგდიდის ფილიალზე თავდასხმიდან, თუმცა შსს-ს მიერ იდენტიფიცირებული 32 წლის ბადრი ესებუას კვალს ჯერ ვერ მიაგნეს.

პირი, რომელსაც ცეცხლსასროლი იარაღის გარდა, ხელყუმბარაც ჰქონდა, 21 ოქტომბერს, დაახლოებით 14:00 საათისთვის შეიჭრა ბანკში და 43 კაცი მძევლად აიყვანა. მათი ეტაპობრივად გათავისუფლების შემდეგ შეიარაღებულმა ნიღბიანმა პირმა, რომელიც 500.000 დოლარსა და უსაფრთხოდ გადაადგილებას მოითხოვდა, ბანკის შენობა 3 მძევალსა და სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორ ავთანდილ გალდავასთან ერთად დატოვა. ისინი ზუგდიდიდან ავტომანქანით გვიან ღამით გაემგზავრნენ.

„კვირის პალიტრა“ ესებუას იმ მეგობარს ესაუბრა, ვისთან ერთადაც ის შეიარაღებულ ძალებში მსახურობდა.



**თემური, 33 წლის:**

– ბადრი ფიზიკურად ძალიან ძლიერია, სწრაფი, მოქნილი. მგონი, ყველაზე სწრაფად ის შლიდა და აწყობდა იარაღს. რაც მთავარია, გაბედული იყო. წვრთნების დროს 40-დან 40-ვე ტყვიას მიზანს ზუსტად ახვედრებდა. თეორიაშიც ძალიან ძლიერი იყო, ნიჭიერია, გონიერი.

არ მჯერა, რომ ეს მარტომ გააკეთა, აუცილებლად ეყოლებოდა თანამზრახველი, იქნებ ორიც.

– ითქვა, თამაშობდაო.

– დიახ, დღეს ყოველი მეორე თამაშობს....ჯანმრთელობის პრობლემების გამო ბანკიდან მოუწია ვალის აღება, შემდეგ პროცენტები ვერ გადაიხადა. ჯანმრთელობა შერყეული ჰქონდა და ზუგდიდის ექიმებმა ქუთაისში გაწერეს, იქიდან კი თბილისში გაუშვეს. ოჯახი პატრონობდა, თუმცა შეიძლება თავის ფინანსურ პრობლემებზე ყველაფერს არც ამხელდა.

– მუშაობდა?

– ბანკის უკან, მშენებლობაზე მუშად, მამას საამქროშიც ეხმარებოდა. არ მჯერა, რომ სადმე წავიდოდა, დიდი ალბათობით, აქ არის და გამოსავალს ეძებს.

**კვირის პალიტრა**

## გლდანში ნიკა მელიას ოფისი დაწვეს

### „ეს გააკეთეს ძმებმა შუკაკიძეებმა“



ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერისა და გლდანის მაჟორიტარობის კანდიდატის, ნიკა მელიას, ოფისი დაწვეს.

როგორც შტაბის ხელმძღვანელი ამბობს, დამნაშავეები მთლიანად აპირებდნენ შენობის დაწვას, მაგრამ ვერ მოასწრეს ადგილზე პოლიციის დროულად მობილიზების გამო.

„მთავარი არხის“ ინფორმაციით, შემთხვევა გამთენიისას მოხდა. ჩამსხვრეულია ოფისის ფანჯარა და დამწვარია ავეჯი.

– დილის 6-ის წუთებზე შევიტყვეთ, რომ ოფისში ხანძარია. დაგვხვდა ჩამსხვრეული შუშები და შენობაში შეგდებული ბენზინის 2 ბოთლი. იმედი მაქვს, გამოიძიებენ ამ საზიზღრობას, – განაცხადა შტაბის ხელმძღვანელმა.

ნიკა მელიას განცხადებით, შტაბი კობიაშვილ-კალაძესთან ძალიან ახლო ურთიერთობაში მყოფი, „კანონიერი ქურდის“ ნოდარ შუკაკიძის დავალებით გადაწვეს.

მისივე თქმით, აღნიშნული უბანი მმართველმა გუნდმა პირწმინდად წააგო და ახლა მოძალადეობრივი აქტი განახორციელეს.

– ახლა ვარ „გაერთიანებული ოპოზიციის“ გლდანის ერთ-ერთი შტაბის წინ, ეს გახლდათ გლდანის რაიონის მესამე მიკრორაიონში არსებული შტაბი. ესაა ის რაიონი, სადაც დამაჯერებლად მოვიგეთ ჩვენ, ოპოზიციამ და კობიაშვილ-კალაძე დავამარცხეთ. შედეგად მოჰყვა ის, რომ რევანშისტულმა, მოძალადე ხელისუფლებამ გადაწვა შტაბი.

ახლა დავასახელებ კონკრეტულ პირებს, რომლებმაც ამაში მონაწილეობა მიიღეს. ესაა კობიაშვილ-კალაძესთან ძალიან ახლო ურთიერთობაში მყოფი „კანონიერი ქურდი“ ნოდარ შუკაკიძე, რომელიც საბერძნეთის საპატიმროში იმყოფება და გლდანის დანაშაულებრივ სამყაროსთან მჭიდრო კავშირი აქვს და ასევე, მისივე ძმის ლევან შუკაკიძის საშუალებით აკონტროლებს საარჩევნო პროცესებს.

ესენი არიან ნოდარ შუკაკიძე „კანონიერი ქურდი“ და კობიაშვილ-კალაძე და ლევან შუკაკიძე, რომელიც აქ ძალიან ახლოს ცხოვრობს. ეს უბანი პირწმინდად წააგეს და ახლა მოძალადეობრივი აქტი განახორციელეს.

ვუცხადებ ბრძოლას „კანონიერ ქურდებს!“ – განაცხადა მელიამ.

## მაია სანდუ მოლდოვის პრეზიდენტი გახდა



მოლდოვის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის ხმათა 100%-ის დათვლის შემდეგ პარტია „მოქმედებისა და სოლიდარობის“ ლიდერმა მაია სანდუმ ხმათა 57.7% მიიღო, მოქმედმა პრეზიდენტმა იგორ დოდონმა კი 42.2%. თუმცა, იგორ დოდონი აცხადებს, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს გაასაჩივრებს და დამარცხებას იმ შემთხვევაში აღიარებს, თუ სასამართლო დარღვევებს ვერ აღმოაჩენს.

მოლდოვაში საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური 15 ნოემბერს გაიმართა.

1 ნოემბერს ჩატარებული არჩევნების შედეგად, გამარჯვებისთვის საჭირო 50%-ის მოპოვება ვერც ერთმა კანდიდატმა შეძლო. პირველ ტურში მაია სანდუმ ხმების 36.1 % მიიღო, იგორ დოდონმა კი – 32.6 %.

სანდუ ევროკავშირთან მჭიდრო კავშირების მომხრეა. მოქმედი პრეზიდენტი კი პრორუსული ორიენტაციის პოლიტიკოსია.

## თიკა მახალდიანი: „მინდა, რომ დაისაჯოს უდანაშაულო, ულამაზესი დედაჩემის მკვლელი“



მომღერალი თიკა მახალდიანი დედის, თამუნა ანთელავას, მკვლელობისთვის დაკავებული დამნაშავის დასჯას ითხოვს:

– 20-ში სასამართლოა. შეიძლება საბოლოოც, არ ვიცი, რა მოხდება, რა განაჩენს გამოიტანს მოსამართლე, პროკურატურის მიერ წარდგენილი ყველა მტკიცებულება არასადავოდ ცნო და ეთანხმება გამოძიებას. დიდი იმედი მაქვს, რომ ყველაფერი ისე დამთავრდება, როგორც საჭიროა და ჩემი ოჯახის და ჩემი ოჯახის გულშემატკივარი ხალხის, ვიცი, რომ ძალიან ბევრია, დასაკმაყოფილებლად. დიდი იმედი მაქვს, რომ სამართლიანი იქნება განაჩენი. მართალია ეს ჩვენ ტკივილს ვერანაირად ვერ შეცვლის, რომელიც დღითიდღე უარესდება, მაგრამ მინდა, რომ დაისაჯოს უდანაშაულო, ულამაზესი დედაჩემის მკვლელი, რომელიც სახლში იჯდა და ემალებოდა კორონას, და კარანტინში, მეტიც, კომენდანტის დროს, გაძლა „ვაჟკაცი“ და გაისროლა აღდგომის აღსანიშნავად. ხოდა, დაისაჯოს! დიახ, ვითხოვ და მოვითხოვ!

## ნიკოლ ფაშინიანი: „მთიანი ყარაბაღის შესახებ განცხადება დაზუსტებას საჭიროებს“



სომხეთის პრემიერ-მინისტრი ნიკოლ ფაშინიანი აცხადებს, რომ მთიან ყარაბაღში კონფლიქტის დასრულების შესახებ განცხადების ბევრი დებულება დაზუსტებას საჭიროებს.

კითხვაზე, რატომ არ მიმდინარეობს დიალოგი იმ პოლიტიკურ ძალებთან, რომლებიც აცხადებენ, რომ არსებობს განცხადების ზოგიერთი დებულების შეცვლის შანსი ისე, რომ მიღწეული შეთანხმება სომხეთისთვის უფრო ხელსაყრელი გახდეს, ფაშინიანმა უპასუხა, რომ მას ამ ძალებისგან არანაირი შემოთავაზება არ მიუღია.

– სიმართლე გითხრათ, მე არ მიმიღია არანაირი წინადადება რომელიმე პოლიტიკური ძალისგან, რომლებმაც იციან, როგორ გააკეთოს ეს უკეთ. არსებითად, დოკუმენტის დებულებების შეცვლა ნიშნავს სამხედრო ვითარების შეცვლას, რაც, ვფიქრობ, დღეს არარეალურია.

რაც შეეხება სამომავლო მოლაპარაკებების პროცესს, ამ დოკუმენტში ბევრი ისეთი დებულებაა, რომელიც დაზუსტებას საჭიროებს. ამ ინტერპრეტაციების დროს ყველა იდეა და რეკომენდაცია შეჯამდება და ჩვენ შევეცდებით საუკეთესო წინადადებები განვახორციელოთ, – განაცხადა ფაშინიანმა.

შეგახსენებთ, 9 ნოემბერს რუსეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის ლიდერებმა ხელი მოაწერეს ერთობლივ განცხადებას მთიან ყარაბაღში საომარი მოქმედებების დასრულების შესახებ, რასაც სომხეთში ოპოზიციისა და მოსახლეობის პროტესტი მოჰყვა.

ისინი პრემიერ-მინისტრს ტერიტორიების აზერბაიჯანისთვის დათმობაში ადანაშაულებენ.

## თორნიკე ბზიავა ქართული კინოს დაფინანსების გაზრდას ითხოვს




მსახიობი და რეჟისორი თორნიკე ბზიავა ქართული კინოსთვის იმის მეათედით ან თუნდაც მეოცედით დაფინანსებას ითხოვს, რაც ქართულ ფეხბურთს აქვს:

– ამის მეათედი, ან თუნდაც მეოცედი, რაც ფეხბურთს აქვს – 211 მილიონი, კინოს რომ მისცენ, რასაც არაფრით შვრებიან, წარმოიდგინეთ, რამდენ სხვა კინოთეატრში გავიდოდა ქართული ფილმი ან კოპროდუქცია!

## დათო ტურაშვილის „შავი კეტები“ მესხეთის თეატრში დაიდგა



მწერლის დათო ტურაშვილის ნაწარმოები „შავი კეტები“ მესხეთის თეატრში დაიდგა და რეპერტუარს კიდევ ერთი სპექტაკლი შეემატა.

სპექტაკლზე რეჟისორმა ალექსანდრე ელოშვილმა იმუშავა, სცენოგრაფი ლელა ფერაძეა, კოსტიუმების მხატვარი – ნანა ყორანაშვილი, ქორეოგრაფი კი – ლევან ქიმერიძე.

ალექსანდრე ელოშვილის მიერ დადგმულ სპექტაკლში მონაწილეობა მიიღეს ლია სულუაშვილმა, რაულ ბარბაქაძემ, მანანა ბერიძემ, მანუჩარ გოგოლაურმა, ანდრია ვაჭრიძემ, ჯუნა თუმანიშვილმა, კონსტანტინე კახიშვილმა, სოფიო ლეთოდიანმა, ცირა ტაბატაძემ, ხათუნა ღუღუნიშვილმა, მალხაზ შაყულაშვილმა, ლექსო ჩემიამ და ანი ხუბუტიამ.

პანდემიის გამო პრემიერამ მაყურებლის გარეშე ჩაიარა.

## პერუს დროებითი პრეზიდენტი გადადგა



მასშტაბური საპროტესტო აქციების ფონზე პერუს დროებითი პრეზიდენტი მანუელ მერინო გადადგა. ის პრეზიდენტის მოვალეობას სულ რამდენიმე დღის განმავლობაში ასრულებდა და პოსტის დატოვება მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც ქვეყანაში მისი გადადგომის მოთხოვნით გამართული აქციის დროს 2 ადამიანი დაიღუპა.

– ძვირფასო პერუელებო, ამ სამწუხარო მოვლენების შემდეგ გადავწყვიტე, რომ პრეზიდენტის პოსტი დავტოვო. აქტივისტების გარდაცვალების ფაქტები უნდა გამოიძიონ და თითოეული დამნაშავე დაისაჯოს. თქვენ მსგავსად, მეც საუკეთესო მინდა ჩემი ქვეყნისთვის, – განაცხადა მან.

გასულ კვირას პერუს კონგრესმა პრეზიდენტ მარტინ ვიზკარას იმპიჩმენტი გამოუცხადა. მას კორუფციულ გარიგებებში მონაწილეობაში სდებენ ბრალს, რასაც ვიზკარა კატეგორიულად უარყოფს. მისი გადაყენების შემდეგ დროებით პრეზიდენტად კონგრესის სპიკერი მანუელ მერინო აირჩიეს, რასაც მოსახლეობის პროტესტი მოჰყვა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## „მასტერშეფი“ გაიანე კარაპეტიანმა და ნიკუშა მანაგაძემ დატოვეს



კულინარიული შოუს „მასტერშეფის“ ნახევარფინალს მიღმა აღმოჩნდნენ გაიანე კარაპეტიანი და ნიკუშა მანაგაძე. ჟიურის – ლუნა ნაჭყებიას, კონსტანტინე თედელურის და ლევან კობიაშვილის შეფასებით, მათ ყველაზე ცუდად გაართვეს თავი დავალებას და შოუს სამუდამოდ დაემშვიდობნენ. ნახევარფინალისთვის ბრძოლაში იმუნიტეტი სოლომონმა მოიპოვა და დარჩენილ კონკურსანტებს კრწანისი ვილა რეზიდენსის ოთახიდან ადევნებდა თვალს. ყველაზე ცუდი კერძების ავტორებად დასახელდნენ ნიკუშა მანაგაძე, გაიანე კარაპეტიანი და ლუკა თოდუა. ჟიურის წევრებმა ნახევარფინალში ბრძოლის შანსი ლუკას მისცეს, ნიკუშა და გაიანე კი შოუდან გაუშვეს.

## ჯადოქარმა ფული მიითვისა და ციხიდან გაიქცა

დიდ ბრიტანეთში თაღლითმა ნიანგების მსხვერპლად შეწირვის პირობის სანაცვლოდ 100 ათასი ფუნტი სტერლინგი მიითვისა. მოგვიანებით ის დაიჭირეს, მაგრამ მან ციხიდან გაქცევა მოახერხა. 2014 წელს დერბიშირის საგრაფოს მცხოვრებ 53 წლის მანჯიტ კაურის ქმარი ავად გაუხდა. მან დასახმარებლად მკურნალს, სახელად შეიხ რიადს მიმართა. თავის რეკლამაში ის ამტკიცებდა, რომ ადამიანებს პირადი პრობლემების მოგვარებაში ეხმარება.

მან კაურის მეუღლის შელოცვებით და მსხვერპლშეწირვით განკურნება შესთავაზა. ის ამტკიცებდა, რომ მსხვერპლად სხვადასხვა ცხოველები უნდა შეწირა, როგორებიცაა ნიანგები და ძროხები. ის საკუთარი სამსახურისთვის სულ უფრო მეტ და მეტ ფულს ითხოვდა. ოთხ თვეში ქალმა მას მთელი თავისი დანაზოგი გადაუგზავნა, 100 ათას ფუნტ სტერლინგზე მეტი.



კაურის თქმით, მას ეჭვი მაშინ შეეპარა, როდესაც შეიხ რიადმა გამოაცხადა, რომ აფრიკაში მიემგზავრებოდა. ამის შემდეგ მან პოლიციას მიმართა. გამოძიების მიმდინარეობისას გაირკვა, რომ მკურნალის სახელით თაღლითი აბდულაი გასამა მოქმედებდა. კაურის გარდა მან კიდევ ორი ქალი მოატყუა და მათი ფულით გამბიაში უძრავი ქონება შეიძინა.

გასამა დააპატიმრეს და თაღლითობის 19 შემთხვევაში და ფულის გათეთრების ერთ შემთხვევაში წაუყენეს ბრალი. მან დანაშაული აღიარა და 7,5 წლით პატიმრობა მიესაჯა. თუმცა მან ორი წლის შემდეგ ბრიტანეთის ციხიდან გაქცევა მოახერხა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## „რანინას“ გამარჯვებული სანდრა გადელია გახდა




მუსიკალური შოუს „რანინას“ მესამე სეზონის გამარჯვებული სანდრა გადელია გახდა. ის 2020 წლის საბავშვო ევროვიზიაზე საქართველოს წარადგენს.

ფინალში გამარჯვებისთვის იბრძოდნენ რატი გელოვანი, მარიტა ხვედელიძე და სანდრა გადელია. ქულების დაჯამების შემდეგ, მესამე ადგილი რატი გელოვანმა დაიკავა, მეორე ადგილი – მარიტა ხვედელიძემ, პირველზე კი სანდრა გადელია გავიდა.

2020 წლის საბავშვო ევროვიზიის ქართველი მონაწილის, სანდრა გადელიას სიმღერაზე გიგა კუხიანიძე იმუშავებს. გადაწყვეტილება საქართველოს პირველი არხის საპროდიუსერო ჯგუფმა მიიღო. გიგა კუხიანიძე საზოგადოებრივ მაუწყებელთან უკვე 10 წელია თანამშრომლობს და წარმატებული პროდიუსერია. მისმა სამმა სიმღერამ საბავშვო ევროვიზიაზე გამარჯვება მოიპოვა. პირველად, 2008 წელს, როცა ჯგუფმა „ბზიკებმა“ წარადგინა სიმღერით „ბზზზ“. მეორედ, 2011 წელს გამარჯვებული გახდა ჯგუფი „ქენდი“, სიმღერით „ქენდი მიუზიქ“. მესამე გამარჯვება კი ქვეყანას, 2016 წელს, მარიამ მამადაშვილმა მოუტანა სიმღერით „მზეო“.

სანდრა გადელიასთვის დაწერილი სიმღერის სატელევიზიო პრემიერა პირველი არხის ეთერში უახლოეს მომავალში გაიმართება.

საქართველოს სახელით ქულებს 2020 წლის საბავშვო ევროვიზიაზე, პროექტ „რანინას“ ფინალისტი, მარიტა ხვედელიძე გამოაცხადებს. მარიტა კონცერტის დასრულების შემდგომ, პირდაპირ ეთერში 29 ნოემბერს ქართველი ჟიურის მიერ დაწერილ ქულებს ევროპას გააცნობს.

მარიტა ხვედელიძე 3 წლის იყო, როდესაც კომპოზიტორ ნოდარ ნიკოლაიშვილმა დაუწერა სიმღერა და პირველად შეასრულა ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, ანსამბლ „ივერიის“ სოლისტებთან, ნუგზარ კვაშალთან და ბესო კალანდაძესთან ერთად. 4 წლის ასაკში, შევიდა სატელევიზიო სტუდიაში.

8 წლის ასაკში გადაწყვიტა დაუფლებოდა მუსიკალურ განათლებას და ჩააბარა ევგენი მიქელაძის სახელობის სამუსიკო სასწავლებელში, ვოკალის ფაკულტეტზე. მისი ვოკალის პედაგოგია დოდო დიასამიძე. „რანინა“ მისთვის პირველი მუსიკალური პროექტია. 10 წლის იყო, როდესაც პირველად მიიწვიეს საერთაშორისო კონცერტზე, პრაღაში. იმავე წლის ნოემბერში მიიწვიეს საფრანგეთშიც.

მომღერალი და საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის დილის გადაცემის წამყვანი ელენე კალანდაძე კი საბავშვო ევროვიზია 2020-ის ლაივ კონცერტს პირველ არხზე წარუძღვება. ის საქართველოში ჩატარებული საბავშვო ევროვიზია 2017-ის წამყვანიც იყო. გასულ წელს კი ელენე კალანდაძე ასევე უძღვებოდა ევროვიზიის პირდაპირ ტრანსლირებას პირველ არხზე.

2020 წლის საბავშვო ევროვიზია 29 ნოემბერს, ვარშავაში გაიმართება. ევროფესტივალში 12 ქვეყანა მიიღებს მონაწილეობას.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## მალამო მენტორი პირველი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი პირველი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, პოდაგრა, სახსრებში მარილების დაგროვება, სახსრების ანთება, ნიკრისის ქარი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება. მკურნალობისას თანდათან მცირდება ტკივილები წელზე, სახსრებზე. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ.

## მალამო მენტორი ხუთი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: ქუსლების (გარქოვანება და ნახეთქები), ბუასილის კვანძების, ფსორიაზის სამკურნალოდ. მალამო გამოყენების შემდეგ ხსნის დაჭიმულობას წელიდან მუხლამდე, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას კაპილარებში, ხსნის სიმძიმეს, წვას. მკურნალობისას ქრება ტკივილები. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ.

☎ 599-73-48-21; 598-73-48-21.

## განცხადებები

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით. კეთდება მხოლოდ კბილის მოსახსნელი პროთეზები, გარანტიით. არის იტალიური, რუსული წარმოშობის. ტელ: 555-72-64-98.

# ვაისმა ყველაფერი წააგო და წავიდა

**საქართველო-სომხეთი 1:2**
**თბილისი. დინამო არენა**

**0:1 ჯაზახიანი (33), 1:1 ყაზაიშვილი (65პ), 1:2 ადამიანი (86)**

**საქართველო:** მაკარიძე, ჯიღაური, ხოჭოლავა, გრიგალავა, ნავალოვსკი, კანკავა, აბურჯანია (კვეკვესკირი 80), გვილია (მიქელთაძე 80), ლობჟანიძე (პაპუნაშვილი 80), დავითაშვილი (ყაზაიშვილი 56), ლობჯანიძე (კაჭარავა 67)

**სომხეთი:** იურჩენკო, ოგანესიანი (გრიგორიანი 69), კალიცირი, აროიანი, ამბარცუმიანი, კაზარიანი (ბიჩახჩიანი 77), გრიგორიანი, უდო (მურადიანი 77), ბარსეგიანი, კარაპეტიანი (კორიანი 77), ადამიანი (ვოსკანიანი 89)

ჩრდილოეთ მაკედონიასთან მარცხის შემდეგ საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვლადიმირ ვაისმა ასეთი კომენტარი გააკეთა — ცვლილების გაკეთება მინდოდა, მაგრამ სათადარიგოთა სკამზე ხარისხიანი ფეხბურთელები არ მყავდაო. ჰოდა, ბატონმა ვაისმა სომხეთთან ერთბაშად 9 ფეხბურთელი შეცვალა. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, 9 უხარისხო ფეხბურთელი გაიყვანა მოედანზე.

ჩვენივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ვაისმა, ფაქტობრივად, ტერაქტი მოგვიწყო და მოსაგებ თამაშში მოედანზე ისეთი ფეხბურთელები გაიყვანა, რომ გუნდი თავიდანვე განწირული იყო.

კიდევ უფრო უარესი, ვაისმა სომხეთთან მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე თქვა — თუ პროგრესი გსურთ, რამდენიმე ფეხბურთელი გუნდში არ უნდა დარჩეს.

ანუ, ვაისი ხელს უშლიდა ქართული ფეხბურთის პროგრესს და ისეთ ხალხს ეძახდა ეროვნულ გუნდში, რომ წარმატებისთვის ვერ მიგვეღწია? თავად არ იძახებდით ამ ფეხბურთელებს წლების განმავლობაში საქართველოს ნაკრებში? თუ სხვა გირჩევდათ შემადგენლობას, ესეც თქვით, თუ არა და, მაინცდამაინც წასვლის წინ უნდა გეთქვა მწარე სიმართლე?

ამ და კიდევ რამდენიმე „მარგალიტი ფრაზის“ გამო, ჩვენი გუნდი ესტონეთთან ვაისმა არც უნდა გაიყვანოს. ამისთვის რამდენიმე არგუმენტი გვქონდა, მაგრამ თავად ფეხბურთის ფედერაციამ დაგვასწრო და განაცხადა, რომ ვაისმა საქართველოში სამუშაო ამოწურა.

ერთა ლიგის 2020-21 წლის გათამაშების დასკვნით მე-6 მატჩს, რომელიც 18 ნოემბერს „დინამო არენაზე“ ესტონეთის ეროვნული ნაკრების წინააღმდეგ არის დაგეგმილი, ახალი მთავარი მწვრთნელის დანიშვნამდე, დროებითი მწვრთნელის მოვალეობას რამაზ სვანაძე შეასრულებს.

39 წლის სპეციალისტი ამჟამად საქართველოს 19 წლამდე ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტს იკავებს. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ უკვე დაიწყო მუშაობა ახალი მთავარი მწვრთნელის პოზიციაზე კანდიდატურის შერჩევასთან დაკავშირებით.



**ალექსანდრე იაშვილი,** სფფ-ის ვიცე-პრეზიდენტი:

— სომხეთთან მატჩის შემდეგ ვლადიმირ ვაისთან საკმაოდ ხანგრძლივი საუბარი გვქონდა და ერთობლივად მივედით იმ გადაწყვეტილებამდე, რომ ესტონეთის წინააღმდეგ საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ვლადიმირ ვაისი აღარ უხელმძღვანელებს. გვინდა, მადლობა გადავუხადო 5-წლიანი თანამშრომლობისთვის. ვაისის ხელმძღვანელობით საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ფლეი ოფის ფინალში იასპარეზა. მადლობას ვუხდით მას და მის სამწვრთნელო შტაბს გაწეული სამსახურისთვის.

რაც შეეხება 18 ნოემბრის შეხვედრას, კონკრეტულად ამ მატჩში ჩვენს გუნდს რამაზ სვანაძე უხელმძღვანელებს, რომელიც 19-წლამდე ნაკრების მთავარი მწვრთნელია. იგი ასაკობრივ ნაკრებში საკმაოდ წარმატებულად მუშაობს. მოგეხსენებათ, რომ მარტში მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ახალი ციკლი დაიწყება და ჩვენ უკვე დაწყებული გვაქვს მუშაობა მთავარი მწვრთნელის საკითხის შესახებ. დარწმუნებული ვარ, რომ მარტის თამაშისთვის საქართველოს ნაკრებს ახალი მთავარი მწვრთნელი წარმატებას მოუტანს.

ჩვენ რატომ ვფიქრობდით, რომ ვაისი ესტონეთამდე უნდა წასულიყო? იმიტომ, რომ ვაისი ფიქრებით უკვე სხვაგან იყო; იმიტომ, რომ ვაისს ფეხბურთელების აღარ სჯერა; იმიტომ, რომ ვაისს ფეხბურთელებიც უნდობლობით პასუხობენ.

შედეგად, არანაირი არგუმენტი ესტონეთთან ვაისის სათადარიგოთა სკამზე ყოფნის, არ არსებობდა.

საქართველოს ნაკრებმა 2 ძვირფასი შანსი გაფლანგა. ვერ ვიტყვით, რომ მარტო ვაისის გამო — საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ჩვენი ფეხბურთის მმართველი ორგანოა და პასუხიც უნდა აგოს მომხდარზე.

დავუბრუნდეთ ისევ სომხეთთან მატჩს, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ჯერ ერთი, ეს 2 ნაკრები ტრადიციულად ერთმანეთის „მტრები“ არიან და მთავარი — სასწორზე ერთა ლიგის ბ დივიზიონის საგზური იდო. ჩვენ დავკარგეთ, სომხებმა დაიტოვეს და თუ ბოლო ტურში მაკედონიას მოუგებენ, ერთით მაღალ დივიზიონში აღზევდებიან.

მაკედონიელებისა და სომხების ამბები ახლა ნაკლებად გვაინტერესებს, ჩვენი გვაქვს სატირალი და ყველაფერი თავიდან დასაწყები, რადგან რისი წაგებაც შეიძლებოდა, ყველაფერი წავაგეთ.

ისე, მართალია ვაისი — საქართველოს ნაკრებმა აღარასოდეს უნდა ითამაშოს ამ შემადგენლობითა და, მით უმეტეს, არც ასეთი კვალიფიკაციის მწვრთნელით. საბოლოო ჯამში, ვაისის 5-წლიან მუშაობას საშუალოზე დაბლა შევაფასებთ.

ახლა ვაისის პრესკონფერენცია, სადაც სლოვაკი თითქმის ყველა ქართველ ფეხბურთელს ლანძღავს და მათი არაპროფესიონალიზმი 5 წლის შემდეგ აღმოაჩინა.

**ვლადიმირ ვაისი:**

— შეტევა პრობლემატურია. მომენტები გვქონდა, მაგრამ ვერ გავიტანეთ. მეტოქეს 3 მომენტი ჰქონდა და 2 გოლი გაგვიტანა. შეიძლება ეს ახალი არ არის და ადრეც ხდებოდა, მაგრამ ასეთ დონეზე შეცდომების დაშვება არ შეიძლება. 5 წელი გავატარე საქართველოში. ეს არ არის 3 თვე, ეს ბევრი დროა. 4 დღის წინ ამ გუნდს სხვანაირად უყურებდნენ, მაგრამ ახლა ყველაფერი შეიცვალა. 9 ახალ ფეხბურთელს მივეცით შანსი ამ თამაშში, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. სომხეთს კარგი ფეხბურთელები ჰყავს ლაზარიანი, სარგისიანი, რომელიც ჰოფენჰაიმში თამაშობს. მათ თუ 1 შანსი მიეცემათ, გოლს გაიტანენ, ჩვენ კი 10 მომენტიდან, 5 ძალიან სახიფათო მომენტიდან გოლის გატანას ვერ ვახერხებთ...

წინა თამაშის შემდეგ ფეხბურთელებს ვუთხარი, რომ ერთა ლიგაზე მომდევნო წელს უკეთეს გუნდებთან უნდა ეთამაშათ, ეს მატჩი უნდა მოეგოთ. ეს უნდა გაეკეთებინათ მათი მომავლისა და პროგრესისთვის. თუმცა ჩვენ ეს შანსი დავკარგეთ. შეტევის ხაზში ხარისხი ნაკლები იყო. ვერავინ იტყვის, რომ ვინმეს თამაშის მოგების მოტივაცია არ ჰქონდა, მაგრამ ვერ შევძელით...

როდესაც ამ თამაშისთვის ვემზადებოდით, ფეხბურთელებს ვუთხარი, რომ მაქსიმუმი უნდა გაეკეთებინათ შედეგისთვის. ყველა მათგანს, ვინც დღეს გუნდშია, თამაშის შემდეგ თითოეულ მათგანს ვეტყოდი სიმართლეს მათი დამოკიდებულების შესახებ. ვფიქრობ, რომ ზოგიერთ ფეხბურთელს პასუხისმგებლობის სრულად არ ჰქონდა გათავისებული. მე არ ვარ ქართველი, მაგრამ მაქსიმუმი გავაკეთე წარმატებისთვის. მიმაჩნია, რომ ზოგიერთი ფეხბურთელი, რომელიც ახლა ნაკრებშია, საქართველოს ნაკრების წევრი უახლოეს მომავალში აღარ იქნება. თუ ეს გუნდი კიდევ უნდა გაიზარდოს, ვფიქრობ, რამდენიმე ფეხბურთელი გუნდში არ უნდა დარჩეს. 1:1-ის შემდეგ თქვენ თავად ნახეთ კონკრეტული მოთამაშეების დამოკიდებულება. შესაძლოა, ზოგიერთი მათგანი ამ მაისურის ტარების პასუხისმგებლობის ნაკლებობას განიცდის. ძალიან ვწუხვარ, რომ ჯერ ჩრდილოეთ მაკედონიასთან წავაგეთ და ახლა ჩემს ბოლო შეხვედრამდე ასეთ მატჩშიც მარცხი განვიცადეთ... ვფიქრობ, რომ დისციპლინით და შეტევაში ხარისხის ნაკლებობით წავაგეთ. ტრაგიკომედიაა, რომ ჩემს კარიერაში სომხეთის ნაკრებთან 4 მატჩიდან 3-ჯერ წავაგე (1 ფრე). დისციპლინა ტრაგედიაა, კუთხურები ტრაგედიაა, შეტევის ბოლო ფაზა ტრაგედიაა, სტანდარტული სიტუაციები ტრაგედიაა — აბა, სხვა რა შეიძლება მომხდარიყო...

რა თქმა უნდა, ეს ცუდი დასასრულია. ერთი კვირის წინ დიდი იმედი გვქონდა, მაგრამ ახლა წაგებულები ვართ. ვეცდები, რომ ბოლო თამაში გამარჯვებით დავასრულო. ქართული ფეხბურთი პროგრესს გააგრძელებს, რადგან ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელები ჰყავს კვარაცხელია, ჩაკვეტაძე, დავითაშვილი, შენგელია. მე მიყვარს ეს ქვეყანა, აქ ძალიან კარგი დრო გავატარე, ყოველთვის ვგრძნობდი თქვენს მხარდაჭერას, მაგრამ დასასრულის დრო მოვიდა, დაველოდები ახალ შემოთავაზებებს...

ნავალოვსკის ხშირად ვეუბნებოდი, რომ პოზიციით მცველია და უმჯობესი იყო, კონკრეტულად თავის პოზიციაზე ყოფილიყო, მაგრამ არა მგონია მისი კრიტიკა სწორი იყოს. იყვნენ ფეხბურთელები, რომლებსაც მისი დაზღვევა შეეძლოთ...

საქართველო არ არის დიდი ქვეყანა და დიდი არჩევანი არ მქონდა. დაახლოებით 40 ფეხბურთელი იყო, საიდანაც არჩევანის გაკეთება გვიწევდა. რა თქმა უნდა, მათ თამაშზე პასუხისმგებლობა მე მეკისრება. ზოგიერთმა ფეხბურთელმა ვერ გაამართლა ჩვენი მოლოდინი, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ რომელიმეს ამის სურვილი არ ჰქონდა...

მცველების თამაშს რაც შეეხება: კაშია-კვირკველიას წყვილი უფრო შეთამაშებულია და სტაბილურად თამაშობენ, მაგრამ მათი დასვენებიდან გამომდინარე, ასეთი გადაწყვეტილება მივიღე. ერთ-ერთი პრობლემა შეიძლება იყოს ის, რომ ზოგიერთი ფეხბურთელი პოზიტიურ კრიტიკას არ იღებს. ჯაბა კანკავას, ვფიქრობ, მომდევნო 3-4 წელი შეუძლია ნაკრებში თამაში, მაგრამ გუნდის პასუხისმგებლობა თანაბრად უნდა იყოს გადანაწილებული. მჯერა, რომ საქართველოს ნაკრებს აქვს მომავალი, ტალანტები აქ ყოველთვის იყვნენ და ახლაც იყვნენ. ხოჭოლავას არც კარგად უთამაშია და არც ცუდად. მან მადრიდის რეალთან შესანიშნავად ითამაშა, მაგრამ დღეს უფრო ისე ითამაშა, თითქოს ამხანაგური თამაში იყო. ემოცია აკლდა...

**ხოაკინ კაპაროსი,** სომხეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი:

— მადლობა მინდა გადავუხადო და მივულოცო ჩემს ფეხბურთელებს, რადგან უდიდესი ძალისხმევა გასწიეს და შესანიშნავი შედეგი მივიღეთ. ეტყობოდათ, რომ სიამაყით თამაშობდნენ. ძალიან დიდი იმედი გვქონდა, რომ მოვიგებდით და ასეც მოხდა. საქართველოს არაჩვეულებრივი გუნდი ჰყავს, 5 წელია, ვლადიმირ ვაისი წვრთნის და შეთამაშებულები არიან. გაგვიჭირდა, ადვილი არ იყო, მაგრამ გავიმარჯვეთ და შედეგით, რა თქმა უნდა, ძალიან კმაყოფილები ვართ. რასაკვირველია, ვიცით, რომ მაკედონიასთან რთული თამაში იქნება, მაგრამ თუ ჩემი წინა ინტერვიუ წაიკითხეთ, ამ ჯგუფში თანაბარი დონის გუნდები ვიყავით და გამოჩნდა, რომ თითოეული თამაში დაძაბულია. ვიცით, რომ ძლიერი მეტოქე გვყავს, მაგრამ ზუსტად იგივე ამოცანა გვაქვს ახლაც, როგორც აქ და წინა მატჩებში გვქონდა.

## შედეგები

### 15 ნოემბერი

**ფეხბურთი**

**უეფას ერთა ლიგა**

| | |
|---|---|
| ნიდერლანდები-ბოსნია | 3:1 |
| იტალია-პოლონეთი | 2:0 |
| ბელგია-ინგლისი | 2:0 |
| დანია-ისლანდია | 2:1 |
| ავსტრია-ჩრ.ირლანდია | 2:1 |
| სლოვაკეთი-შოტლანდია | 1:0 |
| ჩეხეთი-ისრაელი | 1:0 |
| თურქეთი-რუსეთი | 3:2 |
| უნგრეთი-სერბეთი | 1:1 |
| ბულგარეთი-ფინეთი | 1:2 |
| უელსი-ირლანდია | 1:0 |
| მოლდოვა-საბერძნეთი | 0:2 |
| სლოვენია-კოსოვო | 2:1 |
| ალბანეთი-ყაზახეთი | 3:1 |
| ბელარუსი-ლიეტუვა | 2:0 |

**ჩოგბურთი**

**შემაჯამებელი ტურნირი**

| | |
|---|---|
| ტიმი-ციციპასი | 7:6,4:6,6:3 |
| ნადალი-რუბლიოვი | 6:4,6:3 |

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# ქუთაისი ისევ იგებს, თსუ კვალდაკვალ მისდევს

**ქუთაისი–ცხუმ-აფხაზეთი 71:68**
**(11:23, 27:21, 20:19, 23:15)**

რიონისპირელებმა მორიგი გამარჯვება იზეიმეს და რუსთავთან ერთად სუპერლიგაში დაუმარცხებელი გუნდია. ერთია, რუსთაველებს 2 მატჩი აქვთ ჩატარებული, ხოლო კოტე ტუღუშის შეგირდებმა ზედიზედ მეოთხედ იმარჯვეს. არადა, შეხვედრის დასაწყისი ქუთათურებს კარგს არაფერს უქადდა და პირველი მეოთხედი 12 ქულით, 11:23 დათმეს. ეს ცხუმელთა მაღლების დამსახურება იყო, რომლებიც სამწამიანში ჯაბნიდნენ მასპინძლებს.



მეორე მეოთხედიდან ქუთაისმა დაბალი ლეგიონერების წყალობით შეტევაში მაგრად მოუმატა. რაშად რენსომისა და დე ჟან რაითის წინამძღოლობით თანდათან ამცირებდნენ სხვაობას. ქუთაისი პირველად წინ მეოთხე მეოთხედის შუაწელს გავიდა და მერე საქმე უკვე სათავისოდ დაასრულა.

მასპინძელთაგან საუკეთესო რენსომი იყო, რომელმაც 19 ქულას 6 პასი და 6 ჩაჭრა მიამატა. 17 ქულა ჰქონდა რაითს, 12-12 დააგროვეს ილია ლონდარიძემ და გიორგი ბარბაქაძემ, ხოლო 11 ქულა ლუკ მეიერმა ჩააგდო.

ცხუმელთა შორის ალექსანდრე ფევაძე გამოირჩა, რომელმაც 22 ქულა და 14 მოხსნით ორმაგი დუბლი შეასრულა, გიორგი შარაბიძეს 13 ქულა და 8 მოხსნა ჰქონდა.

**თსუ-კაკტუსი 77:54**
**(17:14, 22:15, 22:12, 16:13)**

მატჩი უნივერსიტეტელების იოლი გამარჯვებით — 77:54 დასრულდა. არჩილ ჟღენტის გაწვრთნილი კაკტუსი ვერ აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე და უფრო სწრაფად, გააზრებულად და შედეგიანად მოთამაშე უნივერსიტეტელებს ვერაფერი დაუპირისპირა. შეხვედრის დებიუტში თსუ 13:1 დაწინაურდა და კაკტუსელთა ყველაზე წარმატებული თამაში ამ ეპიზოდს მოჰყვა, როცა სოლიდური ჩამორჩენა ჟღენტის გუნდმა მინიმუმამდე შეამცირა — 16:17.

თითქოს თამაში თანაბრად უნდა გაგრძელებულიყო, ისე დამაჯერებლად გააბათილეს კაკტუსელებმა ჩამორჩენა, თუმცა სწორი ტაქტიკისა და კარგი ფიზიკური მომზადების ხარჯზე უნივერსიტეტელებმა მალევე დაიბრუნეს ხელჩასაჭიდი ლიდერობა. ტაიმის მიწურულისთვის თსუ-ელები 10 ქულით დაწინაურდნენ და დიდი შესვენების შემდეგ უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდეს. სწრაფი კონტრშეტევები, ფარქვეშა პოზიციური თამაში და საშუალო სროლები — ამ სათამაშო კომპონენტების კარგად შესრულებით ლაფანაშვილის გუნდს შეხვედრის ბოლომდე აღარ გასჭირვებია. მესამე პერიოდში უნივერსიტეტელთა ლიდერობამ 20 ქულას გადააჭარბა და შეხვედრა ისე ჩამთავრდა, კაკტუსი მეტოქეს ამ ზღვარზე ახლოს ველარ მიუახლოვდა.

თსუ-ს შორის 24 ქულით, 6 მოხსნითა და 5 პასით საუკეთესო იყო ბრენდონ სლაი. 16 ქულა და 11 მოხსნა ჰქონდა ბრაის სმიტს, ხოლო ლუკა ზაქრაძემ უნივერსიტეტელებს 13 ქულა შესძინა. კაკტუსელთაგან 16 ქულითა და 9 მოხსნით საუკეთესო იყო ეი ჯეი სამბრი. სამაი ჰეინს-ჯონსმა 11 ქულა მოაგროვა.

ამ გამარჯვებით თსუ მე-2 ადგილზეა, ქუთაისს კვალში უდგას...

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**
**ტელ.: 599-532-690 — 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. დანიელი არქიტექტორი, სიდნეის ოპერის თეატრის პროექტის ავტორი; 2. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 3. გეომეტრიული ფიგურა; 4. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 6. ქართველი საოპერო მომღერალი ქალი, სოპრანო; 9. მაგარნაჭუჭიანი ტყის ხილი; 11. ალალი, გულუბრყვილო, მიმნდობი ადამიანი; 15. პოპულარული კაფე ძველ თბილისში, ხელოვანთა თავშეყრის ადგილი; 16. ერბოში ჩახარშული ყველისგან მომზადებული აჭარული კერძი; 17. შესწორება, გასწორება; 19. თეორემა, რომელსაც მტკიცება არ სჭირდება; 21. გრძელ დისტანციებზე მორბენალი მძლეოსანი; 22. მოყვითალო სურნელოვანი ყვავილების მქონე ფოთლოვანი ხე.

**თარაზულად:** 5. უსიტყვო როლების შემსრულებელი მსახიობი თეატრში; 7. გაეროს ერთ-ერთი სამუშაო ენა; 8. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ესპანელი ავტომრბოლელი; 10. ღამის პეპელა; 12. კლიმატური კურორტი ხონის რაიონში; 13. თიხის ღვინის სასმისი; 14. ქართველი ტყვიით მსროლელი ქალი, ოლიმპიური ჩემპიონი; 18. ჩქარტემპიანი მექსიკური ცეკვა; 20. ტროპიკული პალმის ნაყოფი; 23. ქართული მინერალური წყალი; 24. ქართული ლუდი; 25. თხელფურცლოვანი რკინა; 26. რაიონული ცენტრი იმერეთში; 27. იმერეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. თოფურია; 2. პიუზო; 3. გროტესკი; 4. ეფემერა; 5. ვირსალაძე; 9. ვინილი; 12. ფოფოდია; 14. ვირუსი; 15. ეტლი; 17. ლორია; 18. აჟიო.

**თარაზულად:** 6. ჯორჯია; 7. გრინფისი; 8. კუვეზი; 10. ბელგა; 11. სანგვინიკი; 13. შვიდეული; 16. ბოჟოლე; 19. ჟორდანია; 20. რიგოლეტო.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ყაჭი; 2. ჩხუტი; 3. ჩხოუში; 5. აქცია; 6. ტრიგლიტი; 8. ბუნდესტაგი; 10. ოტიატრი; 12. ტანდემი; 14. ოკრიბა; 15. ჰაშიში; 16. ოკაპი.

**თარაზულად:** 1. ყარაჩი; 4. წალკოტი; 7. აგუერო; 9. შაქარი; 11. ონაგატა; 12. ტრავიატა; 13. გაბენი; 17. საკურა; 18. რაჭა; 19. ხმელნიცკი; 20. უილიამსი.

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

17 ნოემბერი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი



აშშ დოლარი — 3.2951



ევრო — 3.8961



დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.3449



100 რუსული რუბლი — 4.2581

## ამინდის პროგნოზი 17 ნოემბრისათვის






## 17 ნოემბრიდან ჩემი პირველი ვეფხისტყაოსანი

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

## ანა შელია გოგონას დედა გახდა



მოდელი ანა შელია გოგონას დედა გახდა. ლამაზმანმა საფრანგეთში იმშობიარა. დედა-შვილი თავს კარგად გრძნობს.

ანა შელიამ და მისმა მეუღლემ ლაშა ლომიძემ ახალშობილს ელიე დაარქვეს. წყვილმა და მათმა პატარა გოგონამ სოციალურ ქსელში უამრავი მილოცვა და საუკეთესო სურვილები მიიღეს.

## მიშა გომიაშვილს ინფარქტი დაემართა



მსახიობმა მიშა გომიაშვილმა ინფარქტი მიიღო. მისი გაჩერებული გული ექიმებმა აამუშავეს და ხელოვანს სიცოცხლე აჩუქეს.

ინფორმაცია მსახიობმა თავად გაავრცელა:

– ბევრი ჩემი მეგობარი, ბევრი ნაცნობი თუ უცნობი, რაც ძალიან მიხარია, მირეკავს, მწერს, აინტერესებთ ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა.

მოგახსენებთ: კორონა ვირუსი, ღმერთის წყალობით, არ მაქვს! 2 კვირა ვიწექი გულის კლინიკაში, არაჩვეულებრივი ექიმების გარემოცვაში, სიკვდილის უფლებაც კი არ მომცეს. ერთხელ გამიჩერდა გული და იმდენი დენი გაატარეს ჩემში, სანამ არ ამიმუშავეს! ვიწექი დიაგნოზით: მიოკარდიუმის ქვემო კედლის მწვავე ტრანსმურული ინფარქტი! გამიკეთეს კორონაროგრაფია-ანგიოპლასტიკა 1 წამლით დაფარული სტენტით. ახლა ვარ სახლში, ცოტა სუსტად.

## ეკა ამირეჯიბს კორონა ვირუსი დაუდასტურდა



ტელეკომპანია „იმედის“ წამყვანს ეკა ამირეჯიბს კორონა ვირუსი დაუდასტურდა. ის მკურნალობას სახლში გადის და ყოველდღიურად მეგობრებისგან უამრავ სიყვარულს და გამამხნევებელ სიტყვებს იღებს.

– ის აქ არის! მოვიდა! – დაწერა ინტერნეტში ეკა ამირეჯიბმა და ყველას ამცნო, რომ კოვიდ დადებითია.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## ასტროპროგნოზი

17 ნოემბრისათვის



**ვერძი** – ემოციური დაძაბულობა პარტნიორთან ან ახლობელთან წაგაჩხუბებთ. სერიოზული საქმით ნუ დაკავდებით. **კურო** – ფინანსური პრობლემები გვერდზე დარჩება. ხელმძღვანელობა თქვენი მუშაობით კმაყოფილია. **ტყუპები** – შემოსავალი გეზრდებათ. ელოდეთ ახალ, საინტერესო შემოთავაზებებს. **კირჩხიბი** – შესაძლოა, თქვენთვის ხელსაყრელი სამსახური იშოვოთ. უკმაყოფილო არ დარჩებით. საქმიან ქაღალდებზე ხელმოსაწერად შესაფერისი დღეა. **ლომი** – პარტნიორის ქარაფშუტობა კონფლიქტს გამოიწვევს. ყველანაირად ეცადეთ, სკანდალი თავიდან აირიდოთ. **ქალწული** – გადაღლას ჯანმრთელობის გაუარესება მოჰყვება. ექიმთან ვიზიტს ნუ გადადებთ.**სასწორი** – ცვლილებები იწყება. ეს შეეხება როგორც სამსახურს, ისე პირად ცხოვრებას. **ღრიანკალი** – კრიტიკული დღეა. პრობლემები გექმნებათ. ოჯახურ კონფლიქტს მხოლოდ მოთმინებითა და სიყვარულით აიცილებთ თავიდან. **მშვილდოსანი** – წარმატება გელით როგორც პროფესიონალურ სფეროში, ისე პირად ურთიერთობებში. შესაძლოა, დაგაწინაურონ. **თხის რქა** – აქტიურობის დროა. თქვენი მიზანდასახულობა დაფასდება. მთავარია, საქმე პატიოსნად და პასუხისმგებლობით აკეთოთ. **მერწყული** – სიტუაცია გულმოდგინედ გააანალიზეთ და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მხოლოდ ამის შემდეგ მიიღეთ. **თევზები** – განსაკუთრებით იღბლიანია დღის მეორე ნახევარი. სანუკვარი ოცნება გისრულდებათ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## იუმორი

ფერია კონკიას ეუბნება:

– დაიმახსოვრე, რომ შენი სამეჯლისო კაბა ღამის 22 საათზე ისევ ძონძებად იქცევა...

– კი მაგრამ, განა ეს შუაღამისას არ უნდა მოხდეს?

– ბოდიში, მაგრამ ახალი შეზღუდვებია დაწესებული, ასე რომ, ყველაფერი მხოლოდ 22 საათამდე მუშაობს.

•••

ალიევი პუტინს ურეკავს და ეუბნება:

– ერდოღანმა შენი თვითმფრინავი ჩამოაგდო?

– ჩამოაგდო, მერე?

– შენ მას ნაყინით გაუმასპინძლდი?

– გავუმასპინძლდი, მერე?

– მე შენი შვეულმფრენი ჩამოვაგდე?

– ჩამოაგდე და მერე?

– მერე ის, რომ სადაა ნაყინი?!

•••

ფირმის დირექტორი სამსახურის დაწყების მსურველს ეუბნება:

– თქვენ რეზიუმეში გიწერიათ, რომ გეები არ მოგწონთ...

– არა, უფრო სწორედ, მათ მე არ მოვწონვარ.

– ჩვენთვის მიუღებელი ხართ.

– აი, ხომ ხედავთ? მეც სწორედ ეგ დავწერე.

•••

პარკში სკამზე მჯდომ ქალთან მაწანწალა მივიდა, რომელსაც ხელში ბოთლი უჭირავს და ეკითხება:

– შეიძლება სასმელით გაგიმასპინძლდეთ?

ქალმა შეათვალიერა და უპასუხა:

– როგორ ბედავთ! ვინმე იაფფასიანი მეძავი ხომ არ გგონივართ!

– მაშინ ჩემ საწოლში რას აკეთებთ?

•••

ტელეფონის ზარია, მამაკაცის ხმა კითხულობს:

– ალო! ტელევიზიაა?

– დიახ, გისმენთ.

– ეს პროგრამა „უკანალით სოფლისკენაა“?

– არა, ესაა პროგრამა „სახით ქალაქისკენ“!

– და მერე, სოფლისკენ რითი გამოდის?

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ბუსკეტსი 3 კვირა ვერ ითამაშებს




ბარსელონას საყრდენი ნახევარმცველი სერხიო ბუსკეტსი 3 კვირის მანძილზე ვერ შეძლებს თამაშს, რადგან მას კუნთის მცირე დაზიანება აქვს, რომელიც სერხიომ ესპანეთის ნაკრებში ყოფნის დროს მიიღო.

ბარსელონასთვის ბუსკეტსის არყოფნა დანაკლისი იქნება, რადგან ის, მიუხედავად ასაკისა, ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელია და რონალდ კუმანი მას ენდობა.

შემდეგი შეხვედრა ბარსელონას თავისი პრინციპული მეტოქის, მადრიდის ატლეტიკოს, წინააღმდეგ აქვს.

## ედენ აზარი კორონავირუსისგან ჯერ ვერ განიკურნა



მადრიდის რეალის ბელგიელი ნახევარმცველი ედენ აზარი კორონავირუსისგან ჯერ ვერ განიკურნა და ტესტმა კვლავ დადებითი პასუხი აჩვენა, რაც იმას ნიშნავს, რომ აზარი განაგრძობს მკურნალობას და უახლოეს მატჩებში ის თავის გუნდს ვერ დაეხმარება.

აზარმა საკმაოდ ბევრი დრო გამოტოვა ტრავმების გამო და ამჟამად მას ტრავმა არ აწუხებს, მაგრამ ის ვირუსის გამო კვლავინდებურად ვერ ეხმარება თავის გუნდს. ზიდანმა იმედი გამოთქვა, რომ აზარი თავის შესაძლებლობებს ბოლომდე გამოავლენს და მას სხვადასხვა ფაქტორები ხელს აღარ შეუშლის.

## მბაპე პსჟ-დან წასვლას აპირებს



ფრანგულ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პსჟ-ს ერთ-ერთი ლიდერი კილიან მბაპე გუნდიდან წასვლას აპირებს. მბაპეს კონტრაქტი ორ წელიწადში ეწურება და ის ჯერჯერობით ახალი კონტრაქტის გაფორმებას არ აპირებს. გარდა ამისა, ერთ-ერთ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ მას ახალი გამოწვევები სჭირდება. მბაპეს შეძენა დიდი ხანია, მადრიდის რეალს სურს და ზიდანი მბაპეს მსოფლიოში საუკეთესო ფორვარდად მიიჩნევს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## ქართული დერბი ესპანეთში, შერმადინი ისევ საუკეთესოა



ესპანეთის საკალათბურთო ლიგაში ქართული დერბი შედგა. გიორგი შერმადინის ტენერიფე შინ ბექა ბურჯანაძის გრან კანარიას დაუხვდა. ტენერიფელები აგრძელებენ წარმატებულ თამაშს და მორიგი გამარჯვებაც მოიპოვეს – 99:80. კუნძულელთა ქართველი ცენტრი კი ისევ შედეგიანად ირჯებოდა. და მატჩის მვპ-იც გახდა.

გასულ შეხვედრაში ორივე ქართველი კალათბურთელი სასტარტო ხუთეულში იყო. შერმადინმა მოედანზე 24 წუთი გაატარა და 14 ქულა, 7 მოხსნა (4 შეტევაში), 4 პასი, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება მიითვალა. შერმადინმა 8-დან 6 ორქულიანი და 2-ვე საჯარიმო ჩააგდო, ბურთი 2-ჯერ დაკარგა, 3 პერსონალური ფოლი მიიღო და მის წინააღმდეგაც 3-ჯერ დაჯარიმდნენ. გიოს მოედანზე ყოფნის პერიოდში იბეროსტარ ტენერიფემ მეტოქეზე 24 ქულით მეტი ჩააგდო, მისი სარგებლიანობის კოეფიციენტი კი 23-ს გაუტოლდა. ორივე ეს მაჩვენებელი თამაშში საუკეთესო იყო. ბურჯანაძემ 14 წუთში 7 ქულა და 2 მოხსნა მიითვალა. ქართველმა ფორვარდმა 4-დან 2 ორქულიანი და 2-დან 1 სამქულიანი გამოიყენა, ბურთი 2-ჯერ დაკარგა და მის წინააღმდეგ ერთხელ დაჯარიმდნენ.

ტენერიფე 9 მოგებითა და 1 მარცხით მე-2 ადგილზეა და მხოლოდ მადრიდის რეალს ჩამორჩება, მომდევნო მატჩს კი, სტუმრად ვალენსიასთან ჩაატარებს. გრან კანარია 2 გამარჯვებითა და 8 წაგებით მე-17 პოზიციაზეა, შემდეგი შეხვედრა ანდორასთან ელის.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

## ნახევრად შიშველმა მოდელებმა სურათები თევზებთან გადაიღეს



გერმანულმა ფირმა ჩარპონიზერ-მა კედლის ახალი კალენდარი გამოუშვა, რომელიც ნახევრად შიშველი მოდელების ფოტოსურათებისგან შედგება, რომლებიც მოზრდილ თევზებთან ერთად პოზირებენ. გადაღების ზოგიერთი მონაწილე მკერდს ან სასქესო ორგანოებს თევზით იფარავს. ერთ-ერთ მოდელს თევზი ფეხებს შორის უკავია. აღნიშნული კალენდრის ინტერნეტით შეკვეთა შეიძლება და მისი ფასი 18,95 დოლარია. აღსანიშნავია, რომ ჩარპონიზერ-ი სათევზაო მოწყობილობების გამოშვებითაა დაკავებული. პირველი ასეთი კალენდარი გერმანულმა ფირმამ 2016 წელს გამოუშვა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. პეკინის მეორე სახელწოდება; 2. მადრიდის „რეალში“ მოთამაშე, 50-იანი წლების უნგრელი ფეხბურთელი; 3. ფრანგული სამხედრო ვერტმფრენმზიდი ხომალდი; 4. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში; 5. გაერთიანებული სამეფოს დედაქალაქი; 8. კომერციული საქმიანობა; 9. ტერიტორიული ერთეული თურქეთში; 12. დრამატული სიუჟეტის მუსიკალური ნაწარმოები გუნდისა და ორკესტრისათვის; 13. თხელი დაბეგვილი ხორცის ნაჭრის კატლეტი; 16. სახელმწიფოების, პარტიების გაერთიანება; 17. ქართული ტელეკომპანია; 19. ქართული ხალხური ცხენოსნური თამაში; 20. ინდიელთა სოფლების სახელწოდება მექსიკაში.

**თარაზულად:** 6. კუთხე საქართველოში; 7. წრის ნაწილი, რომელიც შემოსაზღვრულია რკალითა და ორი რადიუსით; 8. პატარა მაღაზია-სახელოსნო იტალიაში; 10. ხელოვნური წყალსაცავი დუშეთის რაიონში; 11. კურორტი რაჭაში; 14. სამონასტრო კომპლექსი ქარელის რაიონში; 15. ქართველი შტანგისტი, მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი; 18. ჰოლივუდის კინორეჟისორი; 21. რიჰარდ შტრაუსის ოპერა; 22. ქართველთა სახელწოდება მაჰმადიანებში; 23. იაპონური იეროგლიფების სახელწოდება; 24. მანძილის საზომი ერთეული ზღვაოსნობაში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

